

ოლიმპიური სპორტის სახეობები

2020

სპორტის უნივერსიტეტი თბილისი

სარჩევი

ზაფხულის ოლიმპიური სახეობები	2
ბალახის ჰოკეი	2
ისტორია	2
ბალახის ჰოკეი საქართველოში	3
შეჯიბრების წესები	3
ფრენბურთი	4
ისტორია	4
ფრენბურთი საქართველოში	6
შეჯიბრების წესები	7
ხელბურთი	8
ისტორია	8
ხელბურთი საქართველოში	10
შეჯიბრების წესები	11
ფეხბურთი	11
ისტორია	11
ფეხბურთი საქართველოში	16
შეჯიბრების წესები	18
ცურვა	19
ისტორია	19
ცურვა საქართველოში	21
შეჯიბრების წესები	22
ზამთრის ოლიმპიური სახეობები	23
ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა	23
ისტორია	23
ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა საქართველოში	24
შეჯიბრების წესები	24
სნოუბორდი	25
ისტორია	25
სნოუბორდი საქართველოში	26
შეჯიბრების წესები	26
ციგაობა	27
ისტორია	27
ციგაობა საქართველოში	27
შეჯიბრების წესები	28
სამთო თხილამურობა	28

ოლიმპიური სპორტის სახეობები

ისტორია	28
სამთო თხილამურობა საქართველოში	29
შეჯიბრის წესები	30
ფრისტაილი	31
ისტორია	31
შეჯიბრის წესები	31
ფიგურული ციგურაობა	32
ისტორია	32
ფიგურული ციგურაობა საქართველოში	33
შეჯიბრის წესები	34

ოლიმპიური სპორტის სახეობები

ზაფხულის ოლიმპიური სახეობები

ბალახის ჰოკეი

ისტორია

გუნდური სპორტული თამაში ყვანჭით და მცირე ზომის ბურთით. პარტნიორები ბურთს ყვანჭებით გადასცემენ ერთმანეთს და ასე მიიწევენ მეტოქის კარისკენ. თამაშის მიზანია მოწინააღმდეგის კარის დალაშქვრა და საკუთარის დაცვა.



ევროპის ჩემპიონატი კაცთა შორის იმართება 1970 წლიდან, ქალთა შორის 1975-იდან; მსოფლიოს ჩემპიონატი კაცთა შორის 1971-იდან, ქალთა შორის 1974-იდან; ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია: 1908-იდან კაცები, 1980-იდან ქალები.

ბალახის ჰოკეი მიჩნეულია გუნდური თამაშის ერთ-ერთ უძველეს ნაირსახეობად. სხვადასხვა ფორმით და სახელწოდებით არსებობდა ეგვიპტეში, სპარსეთში, საბერძნეთში, მოგვიანებით საფრანგეთში, იტალიაში, ამერიკის კონტინენტზე. ბურთის ყვანჭით თამაშის კვალს ძვ.წ.ა. VI საუკუნეში მივყავართ, თანამედროვე სახით კი განვითარდა XIX საუკუნის მეორე

ნახევარში დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე. ბალახის ჰოკეის პირველი სპორტული კლუბი შეიქმნა 1861 წელს ლონდონში.

ხუთი წლის შემდეგ დაფუძნდა ლონდონის ბალახის ჰოკეის ასოციაცია, რომელმაც 1875 წელს შეიმუშავა და გამოაქვეყნა თამაშის ერთიანი წესები. XIX საუკუნის მიწურულს ბალახის ჰოკეი გავრცელდა ევროპის მრავალ ქვეყანაში, შემდეგ აზიასა და აფრიკაში. 1900 წელს ჩამოყალიბდა ჰოკეის საერთაშორისო საბჭო, რომელმაც ითავა

ოლიმპიური სპორტის სახეობები

შეჯიბრებათა მოწყობა, თამაშის წესების დახვეწა. პარალელურად იქმნებოდა ეროვნული ფედერაციები, ასოციაციები და კლუბები. დღეისათვის ბალახის ჰოკეი ყველა კონტინენტზეა განვითარებული, თუმცა პოპულარობით ჩამორჩება სხვა სათამაშო სახეობებს. 1908 წლიდან მოყოლებული, გარდა 1912 და 1924 წლებისა, ბალახის ჰოკეი ყველა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შედიოდა.

ბალახის ჰოკეის საერთაშორისო ფედერაცია (*Federation Internationale de Hockey-FIH*) დაარსდა 1924 წლის 7 იანვარს პარიზში (საფრანგეთი). დამფუძნებელი ქვეყნები: ავსტრია, ბელგია, ესპანეთი, საფრანგეთი, უნგრეთი, შვეიცარია და ჩეხოსლოვაკია. აერთიანებს 118 ქვეყნის ფედერაციას და 5 კონფედერაციას.

ბალახის ჰოკეის ევროპული ფედერაცია (*European Hockey Federation-EHF*) დაარსდა 1969 წელს. აერთიანებს 43 ქვეყნის ფედერაციას.

ბალახის ჰოკეი საქართველოში

საქართველოში ოდითგანვე იყო გავრცელებული ბალახის ჰოკეის მსგავსი თამაშობანი – ჭოროლა და ჭაკუნობა. ჭოროლას მეტწილად კახეთსა და სამეგრელოში მისდევდნენ, ჭაკუნობას – დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით – გურიასა და იმერეთში. ჭოროლას მოედანი დაახლოებით ბალახის ჰოკეის ზომისა იყო, თამაშობდნენ თხილის ან მუხის ტოტისაგან დამზადებული ყვანჭებით, კარის მაგივრობას სწევდა ორმო. ჭაკუნობისთვის განკუთვნილი მოედნის სიგრძე 500 მეტრს აღწევდა, კარის ნაცვლად კი მოედნის თავსა და ბოლოში ლელო იყო მონიშნული. ამ თამაშობებს XX საუკუნის 60-იან წლებში მისდევდნენ.

თანამედროვე ბალახის ჰოკეის პირველი გუნდი შეიქმნა ქუთაისში 1973 წლის 3 დეკემბერს, სპორტსაზოგადოება “ლოკომოტივის” ბაზაზე. ამ საქმის თაოსანი იყო თეიმურაზ არჩაია, მხარდამჭერი ნოდარ ზივზივამე (სპორტკლუბ “თბომაგალის” თავმჯდომარე). მომდევნო წელს სასწავლო ჯგუფები გაიხსნა თბილისსა და ბათუმში, 1974 წელსვე გაიმართა საქართველოს ვაჟთა პირველი ჩემპიონატი და თასის გათამაშება. ჩემპიონობა ბათუმის “განთიადმა” მოიპოვა, თასი ქუთაისის “ლოკომოტივმა”. იმავე წელს ქუთაისელმა ჰოკეისტებმა მოიგეს ერევნისა და ბაქოს ტურნირები და საკავშირო ჩემპიონატის I ლიგის შესარჩევი შეჯიბრება. ამ ლიგაში სხვადასხვა დროს გამოდიოდნენ აგრეთვე ბათუმისა და თბილისის არმიის სპორტკლუბის გუნდები. ქალთა პირველი ჯგუფები გაიხსნა 1979 წელს, საკავშირო I ლიგაში 2 წელი თამაშობდა ბათუმის “განთიადის” (მწვრთნელი ზურაბ მჟავია) ქალთა გუნდი, შემდეგ მისი ადგილი დაიკავა ქუთაისის “ფეიქარმა” (მწვრთნელი ავთანდილ თევდორაძე). ქუთაისელმა გოგონებმა 1988 წელს გაიმარჯვეს საკავშირო ახალგაზრდულ პირველობაში. ჰოკეის გუნდები შეიქმნა ჩოხატაურსა და ლანჩხუთში. 1985 წელს ქუთაისის ცენტრალური სტადიონის ტერიტორიაზე მოეწყო ამიერკავკასიაში პირველი ხელოვნურსაფარიანი მოედანი, 1992 წელს ქუთაისშივე გაიხსნა ბალახის ჰოკეის პირველი სპეციალიზებული სკოლა, რომლის სასწავლო ჯგუფები ამოქმედდა წყალტუბოსა და სამტრედიაში. სხვადასხვა წლებში საქართველოს ჰოკეისტებს წარმატებით უასპარეზიათ პოლონეთის, ესპანეთის, ავსტრიის, ირანის საერთაშორისო ტურნირებში, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებებში.

საქართველოს ბალახის ჰოკეის ფედერაცია დაფუძნდა 1988 წლის 12 თებერვალს.

1996 წლიდან ბალახის ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის (FIH) წევრია.

პრეზიდენტები: რევაზ რობაქიძე (1988-96), თეიმურაზ არჩაია (1996-04), გიორგი ჩარკვიანი (2004 წლიდან).

შეჯიბრების წესები

ბალახის ჰოკეის ოფიციალური მატჩები იმართება ბალახის საფარიან მინდორზე, რომლის ზომებია 91,5 X 54,9 მ. სწორკუთხა მოედანი შემოსაზღვრულია თეთრი ფერის გვერდითი და პირითი ხაზებით, შუახაზით კი გაყოფილია 2 თანაბარ ნაწილად. მოედნის თითოეული ნახევარი თავის მხრივ 22,87 მეტრიანი ანუ კარის ხაზით

ოლიმპიური სპორტის სახეობები

ასევე 2 თანაბარ ნაწილად იყოფა. პირითი ხაზების შუაში მაგრდება ბადიანი კარი, რომლის სიგანა 3,66 მ, სიმაღლე – 2,14 მეტრი. პენალტიეს ნიშნული კარიდან 6,4 მეტრითაა დაშორებული. კარის წინ შემოსაზღვრული დარტყმის ნახევარწრის რადიუსია 14,63 მ.

ბალახის ჰოკეის თამაშობენ ყვანჭით, რომლის ქვედა ნაწილი ხისგან მზადდება. ყვანჭი 340-755 გრამს იწონის. ბურთი ჩვეულებრივ თეთრი ფერისაა. მისი წონაა 156-160 გრ. დიამეტრიც – 7,13 -7,5 სმ. ბალახის ჰოკეისტის აუცილებელი ეკიპირება: მაისური, შორტი (ქალებისთვის მოკლე ქვედატანი), გეტრი, ფეხსაცმელი, საწვივე, სპეციალური ფეხსაცმელი, ჩაფხუტი და საიდაყვე.

თითოეულ გუნდში მეკარის ჩათვლით 11-11 ჰოკეისტია. მთელი მატჩის განმავლობაში ნებადართულია 3 მოთამაშის შეცვლა. მოთამაშეები ბურთს მხოლოდ ყვანჭებით ეხებიან. გამონაკლისია მეკარე, რომელსაც უფლება აქვს, დარტყმის ნახევარწრის ფარგლებში ბურთი მოიგერიოს ხელითაც და ფეხითაც. მატჩს უძღვება 2 მსაჯი. თითოეული მათგანი თამაშს თვალს ადევნებს მოედნის საკუთარ ნახევარზე და ნიშანს სასტვენით იძლევა. ბურთი გატანილად ითვლება მაშინ, თუ მთლიანად გადაკვეთს ძელებითა და ხარიხით მონიშნულ კარის ხაზს (სიბრტყეს).

აკრძალულია ყვანჭის მხრების სიმაღლეზე აწევა, ყვანჭით სარმის გამოდება, მეტოქისთვის ხელის კვრა, მისი დაჭერა, აგრეთვე უყვანჭოდ თამაში, ბურთის ხელით გაჩერება ან დაჭერა, ბურთის ჰაერში განზრახ ასროლა დარტყმის ნახევარწრეში ჩაგდების მიზნით. თუ თავდამსხმელი გუნდი მეტოქის მოედანზე თამაშის წესს დაარღვევს, მოწინააღმდეგის სასარგებლოდ ინიშნება თავისუფალი დარტყმა, რომელიც სრულდება წესის დარღვევის ადგილიდან; თუ წესს ორივე მხარე ერთდროულად არღვევს, ინიშნება ბურთის სადავო გათამაშება. პენალტს ნიშნავენ მოიერიშე გუნდის სასარგებლოდ, დარტყმის ნახევარწრეში თამაშის წესების განზრახ ან უნებლიე დარღვევისთვის, თუ ამან ხელი შეუშალა გოლის გატანას, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეები არ იცავენ წესებით დადგენილ პოზიციებს საჯარიმო კუთხური დარტყმების დროს. პენალტიეს დროს მეკარე კარის ხაზზე უნდა იდგეს. მას შემდეგ, რაც პენალტიეს შემსრულებელი და მეკარე პოზიციებს დაიკავებენ, მსაჯი კი სასტვენს ჩაჰბერავს, მეკარეს ეკრძალება კარის ხაზის დატოვება და დარტყმამდე ადგილიდან ფეხის მოცვლა. ამ დროს დანარჩენი მოთამაშეები 22,87-მეტრიან ხაზს იქით დგანან.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ჰოკეისტი არანაკლებ 22,87 მეტრიდან ბურთს პირით ხაზს უნებლიედ გადააცილებს, ინიშნება კუთხური; თუ დაცვაზე გადასული გუნდის რომელიმე მოთამაშე იმავე ხაზს იქით ბურთს განგებ გადაუშვებს ან დარტყმის ზონაში წესს დაარღვევს (თუკი ამ დარღვევისთვის პენალტე არაა დაწესებული), ნიშნავენ საჯარიმო კუთხურ დარტყმას. საჯარიმო კუთხურს ურტყამენ პირითი ხაზის ნებისმიერი ადგილიდან, მაგრამ მანძილი კარის ძელიდან 9,1 მეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს. ამ დროს მოიერიშე გუნდის დანარჩენი მოთამაშეები დარტყმის ნახევარწრის ფარგლებს გარეთ უნდა იყვნენ. მათი მოწინააღმდეგე გუნდის 5 მოთამაშეს (არაუმეტეს) შეუძლია საკუთარი მოედნის პირით ხაზს უკან იდგეს, დანარჩენი წევრები კი ცენტრალური ხაზის უკან უნდა განლაგდნენ. მეკარეს უფლება არა აქვს დატოვოს კარის ხაზი ან დარტყმამდე ადგილიდან ფეხი მოიცვალოს. ჰოკეისტი თამაშგარე მდგომარეობაში (ოფსაიდში) ითვლება მაშინ, როცა მოწინააღმდეგის მოედნის ნახევარზეა, ამასთან, კარის ხაზსა დამ ას შორის 2 მეტოქე მაინც დგას, ბურთს კი ამ ხაზს იქით მყოფი მისივე თანაგუნდელი ფლობს.

ფრენბურთი

ისტორია

ფრენბურთი (ინგლ. Volleyball < Volley მფრინავი, Ball ბურთი). გუნდური თამაში ბადით ორ ტოლ ნაწილად გაყოფილ მოედანზე. მოთამაშეები ცდილობენ, ბურთი ბადის ზემოთ გადაისროლონ ისე, რომ მოწინააღმდეგის მოედანზე დავარდეს და მეტოქემ მისი მოგერიება ვერ შეძლოს.

ევროპის ჩემპიონატი კაცთა შორის იმართება 1948 წლიდან, ქალთა შორის 1949-იდან; მსოფლიოს ჩემპიონატი კაცთა შორის 1949-იდან, ქალთა შორის 1952-იდან; ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1964-იდან (კაცები, ქალები).

ოლიმპიური სპორტის სახეობები

ფრენბურთის ისტორიის მკვლევრები ერთსულოვნად ადასტურებენ, რომ: 1. ფრენბურთის დაბადების წელია 1895; 2. დაბადების ადგილი ქალაქი ჰელიოკი, აშშ; 3. გამომგონებელი უილიამ მორგანი, ამ ქალაქის კოლეჯის ფიზიკური კულტურის მასწავლებელი. მორგანს ახალი თამაშისთვის “მინტონეტი” დაურქმევია და გამოგონებიდან ერთი წლის თავზე სპრინგფილდში საჩვენებელი შეჯიბრება მოუწვია. ახალი სახელი (Volleyball) მისთვის სპრინგფილდის კოლეჯის პროფესორს ალფრედ ჰალსტედს უწოდებია. თავდაპირველად 6,75 X 13,8 მ ზომის მოედანს 197 სმ-ის სიმაღლეზე გაჭიმული ჩოგბურთის ბადით ყოფდნენ, გუნდის წევრებისა და დარტყმების რაოდენობა კი შეუზღუდავი იყო. თამაშის პირველი 10-პუნქტიანი წესები 1897 წელს გამოქვეყნდა.



XX საუკუნის დამდეგს ფრენბურთი გავრცელდა კანადაში, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, აზიაში, 1913 წელს კი ის უკვე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის პირველი თამაშების პროგრამაში შედიოდა. პირველი მსოფლიო ომის წლებში ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა მეშვეობით ახალი თამაში ევროპაშიც გაიცნეს. ფრენბურთს გატაცებით თამაშობდნენ ბავშვებიც და მოზრდილებიც, კაცებიცა და ქალებიც, უმთავრესად კურორტებზე, პლაჟებზე და სხვა დასასვენებელ ადგილებში. როგორც სპორტული თამაში, ფრენბურთი საბოლოოდ ჩამოყალიბდა 1917-25 წლებში. 1918 წელს გუნდში მოთამაშეთა რაოდენობა ექვსამდე შემცირეს, 1922-ში შემოიღეს ე.წ. ბურთზე სამი შეხების წესი. იმავე წელს ბრუკლინში გაიმართა ჩრდილოეთ ამერიკის კოლეჯების პირველი ჩემპიონატი აშშ-ისა და კანადის 23 გუნდის მონაწილეობით, შეიქმნა ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ფედერაცია. 30-იან წლებშივე დაიხვეწა ფრენბურთის მთავარი ტექნიკური ილეთები (მოწოდება, გადაცემა, შემტევი დარტყმა, ბლოკირება), რომელთა საფუძველზეც აიგო გუნდური თამაშის ტაქტიკა. 1936 წელს ბერლინში შეიკრიბა ფრენბურთის საერთაშორისო ტექნიკური კომისია, რომელშიც თავისი წარმომადგენელი ჰყავდა ევროპის 13, ამერიკის 5 და აზიის 4 ქვეყანას. დამატიცეს თამაშის საერთაშორისო წესები ამერიკული ვარიანტის გათვალისწინებით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1946-70 წლებში, ფრენბურთი მთელ მსოფლიოში გავრცელდა და ერთ-ერთ ყველაზე მასობრივ თამაშად იქცა. ამას ხელი შეუწყო ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის დაფუძნებამ (1947), გახშირებულმა საერთაშორისო ტურნირებმა, თამაშის ხელმისაწვდომობამ. 1965-იდან შემოიღეს ეროვნული გუნდების შეჯიბრებათა ახალი მონაცვლეობა: ჯერ მსოფლიოს თასის გათამაშება, მომდევნო წელს მსოფლიოს ჩემპიონატი, შემდეგ კონტინენტური ჩემპიონატები, ბოლოს ოლიმპიური თამაშები. 1990-იდან იმართება კაცთა მსოფლიო ლიგის ყოველწლიური გათამაშება, 1993-იდან ქალთა გრან-პრი. საკლუბო ტურნირებიდან აღსანიშნავია ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება (კაცები 1960-იდან, ქალები 1961-იდან) და მსოფლიოს ჩემპიონატი (კაცები 1989-იდან, ქალები 1991-იდან).

1924 წელს, VIII ოლიმპიადის მსვლელობისას, პარიზში მოეწყო ფრენბურთელთა საჩვენებელი მატჩები, მაგრამ სოკმა ფრენბურთი ოლიმპიურ სახეობად მხოლოდ 1957 წელს აღიარა, თამაშების პროგრამაში კი 1964 წელს შეიტანა (ტოკიო). პირველ ოლიმპიურ ტურნირში კაცთა 10 და ქალთა 6 გუნდი გამოდიოდა. ქალების შეჯიბრება იაპონელებმა მოიგეს, კაცებისა სსრკ ნაკრებმა.

ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაცია (Federation Internationale de Volleyball-FIVB) დაარსდა 1947 წლის 19 აპრილს პარიზში (საფრანგეთი). დამფუძნებელი ქვეყნები: აშშ, ბელგია, ბრაზილია, ეგვიპტე, იტალია, იუგოსლავია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, საფრანგეთი, უნგრეთი, ურუგვაი, ჩეხოსლოვაკია, ჰოლანდია. აერთიანებს 218 ქვეყნის ფედერაციას და 5 კონფედერაციას.

ფრენბურთის ევროპული კონფედერაცია (Confederation Europeenne de Volleyball-CEV) დაარსდა 1973 წლის 9 სექტემბერს სხევენინგენში (ჰოლანდია). აერთიანებს 54 ქვეყნის ფედერაციას.

ოლიმპიური სპორტის სახეობები

მსოფლიოს ჩემპიონატი (კაცები). მსოფლიოს უძლიერესი ეროვნული გუნდის გამოსავლენად ტურნირის ჩატარება ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ 1948 წელს გადაწყვიტა. პირველი ჩემპიონატი 1949 წელს გაიმართა პრადში (ჩეხოსლოვაკია) და ათ გუნდს შორის სსრკ-ის ნაკრებმა იმარჯვა. პირველი ორი ტურნირი ღია ცის ქვეშ ჩატარდა, მას შემდეგ კი ასპარეზოდა მუდამ დახურულ დარბაზებში იმართება, თუმცა გათამაშების სისტემა არაერთხელ შეიცვალა. 1962 წლიდან ჩემპიონატის ფინალური ეტაპი 4 წელიწადში ერთხელ ტარდება.

გამარჯვებულები: 1949 სსრკ, 1952 სსრკ, 1956 ჩეხოსლოვაკია, 1960 სსრკ, 1962 სსრკ, 1966 ჩეხოსლოვაკია, 1970 გდრ, 1974 პოლონეთი, 1978 სსრკ, 1982 სსრკ, 1986 აშშ, 1990 იტალია, 1994 იტალია, 1998 იტალია, 2002 ბრაზილია.

ევროპის ჩემპიონატი (კაცები). ამ ტურნირის ჩატარება 1947 წელს ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის დამფუძნებელ კონგრესზე გადაწყდა. 1948 წელს რომში (იტალია) გამართულ პირველ ჩემპიონატში 6 გუნდს შორის გამარჯვება ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს ხვდა. 1949, 50, 55 და 58 წლებში ტურნირი ღია ცის ქვეშ იმართებოდა. 1963 წლიდან ჩემპიონატს ფრენბურთის ეროვნული კონფედერაცია ატარებს. გათამაშების სისტემა გამუდმებით იცვლება.

გამარჯვებულები: 1948 ჩეხოსლოვაკია, 1950 სსრკ, 1951 სსრკ, 1955 ჩეხოსლოვაკია, 1958 ჩეხოსლოვაკია, 1963 რუმინეთი, 1967 სსრკ, 1971 სსრკ, 1975 სსრკ, 1977 სსრკ, 1979 სსრკ, 1981 სსრკ, 1983 სსრკ, 1985 სსრკ, 1987 სსრკ, 1989 იტალია, 1991 სსრკ, 1993 იტალია, 1995 იტალია, 1997 ჰოლანდია, 1999 იტალია, 2001 იუგოსლავია, 2003 იტალია.

მსოფლიოს ჩემპიონატი (ქალები). ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, პირველი ჩემპიონატი 1952 წელს მოსკოვში (სსრკ), ღია ცის ქვეშ გაიმართა. ტურნირი, რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობდა (7 ევროპის ქვეყნიდან და 1 ინდოეთიდან) მასპინძელთა დამაჯერებელი (სეტის წაუგებლად) გამარჯვებით დასრულდა. მას შემდეგ გათამაშების სისტემა ხშირად იცვლებოდა, თუმცა მატჩები მუდამ დახურულ დარბაზებში იმართებოდა. ამჟამად ფინალურ ეტაპზე 24 გუნდი თამაშობს.

გამარჯვებულები: 1952 სსრკ, 1956 სსრკ, 1960 სსრკ, 1962 იაპონია, 1967 იაპონია, 1970 სსრკ, 1974 იაპონია, 1978 კუბა, 1982 ჩინეთი, 1986 ჩინეთი, 1990 სსრკ, 1994 კუბა, 1998 კუბა, 2002 იტალია.

ევროპის ჩემპიონატი (ქალები). პირველი ჩემპიონატი 1949 წელს პრადში (ჩეხოსლოვაკია), კაცთა მსოფლიო პირველობის პარალელურად გაიმართა. გამარჯვება სსრკ-ის ნაკრებმა (სეტის წაუგებლად). 1949, 50, 55 და 58 წლებში ტურნირი ღია ცის ქვეშ იმართებოდა. 1963 წლიდან ჩემპიონატს ფრენბურთის ევროპული კონფედერაცია ატარებს.

გამარჯვებულები: 1949 სსრკ, 1950 სსრკ, 1951 სსრკ, 1955 ჩეხოსლოვაკია, 1958 სსრკ, 1963 სსრკ, 1967 სსრკ, 1971 სსრკ, 1975 სსრკ, 1977 სსრკ, 1979 სსრკ, 1981 ბულგარეთი, 1983 გდრ, 1985 სსრკ, 1987 გდრ, 1989 სსრკ, 1991 სსრკ, 1993 რუსეთი, 1995 ჰოლანდია, 1997 რუსეთი, 1999 რუსეთი, 2001 რუსეთი, 2003 პოლონეთი.

ფრენბურთი საქართველოში

საქართველოში ფრენბურთი 1926 წელს შემოვიდა. ამ საქმეს მოთავეობდნენ მიხეილ ცხვედაძე, ლევან ფალავანდიშვილი, გრიგოლ იოსებაშვილი, ივანე ბაქრაძე, მიხეილ პეროვი. მოგვიანებით ამ ჯგუფს შეუერთდნენ არჩილ წერეთელი, ალექსანდრე პაცკევიჩი, შალვა დიასამიძე, გიორგი ავალიშვილი, გიორგი საყვარელიძე და სხვები. პირველ ხანებში ბადის ნაცვლად იყენებდნენ ტანვარჯიშულ კიბეს, რომელსაც ბადის სიმაღლეზე ამაგრებდნენ. ახალი სახეობის პოპულარიზაციას ხელი შეუწყვეს თბილისში 1927 წელს ჩამოსულმა მოსკოვის დრამატული თეატრის მსახიობებმა, რომლებიც კარგი ფრენბურთელები აღმოჩნდნენ და რამდენიმე საჩვენებელი მატჩიც გამართეს. ერთი წლის შემდეგ ჩატარებული ამიერკავკასიის ვაჟთა გუნდების პირველობა თბილისელებმა მოიგეს. 1930-იან წლებში ფრენბურთს ძირითადად ვერის ბადისა და სპორტსაზოგადოება "პიშჩევიკის" მოედნებზე თამაშობდნენ. იმავე პერიოდში ფრენბურთელთა გუნდები შეიქმნა ქუთაისში, სოხუმში, გაგრამში, ბათუმში, ცხინვალში, ფოთში, დიდ ჯიხაიშსა და ახალქალაქში. 1932 წელს მოეწყო საქართველოს პირველი ჩემპიონატი. შემდეგი წლიდან სსრკ პირველობაში ჩაება თბილისის კაცთა ნაკრები, 1935 წელს კი ქალთა გუნდი. ომამდელ წლებში თბილისელი ფრენბურთელები (კაცები) სსრკ ჩემპიონატის საუკეთესოთა ხუთეულში შედიოდნენ. თბილისის "ნაუკამ" (1958 წლიდან "ბურვეესტნიკი") 1938 წლის ჩემპიონატში II ადგილი დაიკავა, 1940 წელს კი მესამე იყო. ამ გუნდში თამაშობდნენ კონსტანტინე ლომინაძე, ალექსანდრე იაკუშევი, გივი ახვლედიანი, სერგო

ოლიმპიური სპორტის სახეობები

ტარახჩიანი, არჩილ ჭირაქაძე, ევგენი რომანინი, ლუდვიგ ავალიანი და სხვები. 1938 წელს კონსტანტინე ლომინაძემ სსრკ-ში პირველმა შეასრულა ძალისმიერი გვერდული მოწოდება და დარტყმა ე.წ. კაუჭით, გივი ახვლედიანმა თავდასხმითი დარტყმა 3-მეტრიან ხაზს გარედან, სერგო ტარახჩიანმა კი პირველმა მიიღო ნახტომით მოწოდების ბურთი. ეს ილეთები ფრენბურთის სახელმძღვანელოებშია შესული.

თბილისის ქალთა გუნდმა სსრკ ჩემპიონატში 1936 წელს III ადგილი დაიკავა. მოგვიანებით, 1952-53 წლებში, ეს გუნდი ასევე მესამე იყო ქალაქების ნაკრებთა საკავშირო პირველობებში. სხვადასხვა თაობის ფრენბურთელთა შორის ოსტატობით გამოირჩეოდნენ ელენე ქაჯაია, ლიუბოვ სენიუკი, თამარ ივანოვა, ბერტა ვარდიშვილი, ასია ანანოვა, ციალა აბუაშვილი და სხვები. სსრკ ნაკრებში სხვადასხვა დროს მიწვეული იყო საქართველოში დაოსტატებული ოცზე მეტი ფრენბურთელი. ქართული ფრენბურთის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით კონსტანტინე ლომინაძეს, არმენაკ თევოსიანს, შოთა მარგიშვილს, ევგენი ამირანაშვილს, ვაჟა კაჭარავას, სერგო ტარახჩიანს, ირაკლი ნიკოლაიშვილს, ედუარდ სანთელაძეს.

1960-იან წლებში თბილისის "ბურევესტნიკის" კაცთა გუნდი იმდენად გაძლიერდა, რომ მის ბაზაზე შექმნილმა სსრკ სტუდენტთა ნაკრებმა 1963 წელს მსოფლიო უნივერსიადა მოიგო. იმავე წელს ბურევესტნიკელებმა საქართველოს ნაკრების სახელით სსრკ ხალხთა სპარტაკიადაში III ადგილი დაიკავეს. საქართველოში აღზრდილმა ფრენბურთელებმა არაერთხელ მოიპოვეს ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მედლები, მაგრამ იმ დროისთვის ქართულ კლუბებში უკვე აღარ გამოდიოდნენ. გამონაკლისია ტოკიოს ოლიმპიადის (1964) ჩემპიონი ვაჟა კაჭარავა, რომელიც 1965 წლამდე თბილისის "ბურევესტნიკში" თამაშობდა, შემდეგ კი მოსკოვის "დინამოში" გადავიდა. უფრო ადრე, 1952 წელს, თბილისის "ლოკომოტივიდან" მოსკოვის ცსკა-ში მიიწვიეს გივი ახვლედიანი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, შემდგომში წარმატებული მწვრთნელი (ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ იგი XX საუკუნის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა). კაჭარავასთან ერთად ტოკიოში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ბათუმელი სტანისლავ ლუგაილო, რომელმაც ადრე დატოვა საქართველო და რიგის "დაუგავაში" თამაშობდა. თბილისის "ბურევესტნიკში" დაოსტატდა ოლიმპიური თამაშებისა (1980) და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ვლადიმერ დოროხოვი (შემდგომში ცსკა-ს და ლენინგრადის "სპარტაკის" წევრი).

ახალი თაობის ფრენბურთელთაგან უნდა გამოვყოთ საფრანგეთის კლუბის, "კანის" თბილისელი კაპიტანი ვიქტორია რავა. მისმა გუნდმა ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა, თავად რავა კი ტურნირისა და საფრანგეთის 2003 წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს.

საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 28 თებერვალს.

1991 წლის დეკემბრიდან ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციისა (FIVB) და ევროპის ფრენბურთის კონფედერაციის (FVBC) წევრია.

პრეზიდენტები: გიული ჯალაღანია (1991-95), ავთანდილ სილაგაძე (1995-01), ლევან ახვლედიანი (2001 წლიდან).

შეჯიბრის წესები

ფრენბურთის მოედნის სიგრძე 18 მეტრია, სიგანე – 9 მეტრი. მოედანს ორ თანაბარ ნაწილად ყოფს 1 მ სიგანის ბადე. კაცთა შეჯიბრებისას იატაკსა და ბადის ზედა კიდეშ შორის მანძილი 243 სმ-ია, ქალთა შეჯიბრებისას – 224. ბურთი ტყავისაა და 260-280 გრამს იწონის, გარშემოწერილობა – 65-67 სმ. ფრენბურთელებს აცვიათ მაისურები და შორტები. ფეხსაცმელი მსუბუქი, მოქნილი და უქუსლოა, ნებადართულია ფეხშიშველა თამაშიც. თითოეულ გუნდში 12-12 ფრენბურთელია, თამაშში კი 6-6 სპორტსმენი მონაწილეობს, მათ შორის ერთი "ლიბერო" თავისუფალი მოთამაშე, რომელსაც განსხვავებული ფერის ფორმა აცვია.

ბურთის მოწოდებისას გუნდის წევრებს გარკვეული პოზიცია უკავიათ, მაგრამ მოწოდებისთანავე შეუძლიათ თავიანთი მოედნის ნებისმიერ წერტილში გადაინაცვლონ. პოზიციური შეცდომა სერიოზულ დარღვევად ითვლება

ოლიმპიური სპორტის სახეობები

და გუნდი, რომელიც ამგვარ შეცდომას დაუშვებს, კარგავს იმ დროისათვის მოგებულ ყველა ქულას. როდესაც გუნდი ბურთის მოწოდების უფლებას მოიპოვებს, მოთამაშეები საათის ისრის მიმართულებით გადაადგილდებიან და ახალ პოზიციას იკავებენ. რეფერის სასტვენის შემდეგ ბურთი თამაშში შეჰყავს ფრენბურთელს, რომელიც მოედნის უკანა მარჯვენა კუთხეში მოხვდება. ბურთს აწვდიან ქვემოდან ან ზემოდან გაშლილი ხელისგულის დარტყმით. თუ ბურთი შეეხო ბადეს ან მიმწოდებელი გუნდის რომელიმე წევრს, ეს შეცდომად ითვლება. ასევე მოთამაშის შეცდომაა, ბურთი მეტოქის მოედნის ფარგლების გარეთ რომ დაეშვება. თითოეულ გუნდს, სანამ მეტოქის ნახევარზე გადაადგებდეს, შეუძლია ბურთს სამჯერ შეეხო. თუ ორი ან მეტი თანაგუნდელი ბურთს ერთდროულად შეეხო, ეს ორმაგ შეხებად ჩაითვლება.

საერთაშორისო სეჯიბრებებში მატჩი გრძელდება ერთ-ერთი გუნდის მიერ 3 პარტიის მოგებამდე. პარტიას იგებს გუნდი, რომელიც პირველი მოაგროვებს 25 ქულას (გადამწყვეტ, მეხუთე პარტიაში – 15 ქულას), ამასთან უპირატესობა 2 ქულა უნდა იყოს. ყოველი პარტიის შემდეგ გუნდები მოედანზე ადგილებს ცვლიან.

იმ შემთხვევაში, თუ 2 მოწინააღმდეგე თამაშის წესს ერთდროულად დაარღვევს, ფიქსირდება ორმაგი დარღვევა და ქულა განმეორებით გათამაშდება. ბურთი თამაშიდან გასულად ითვლება, თუ მოედნის ფარგლებს გარეთ იატაკს ან რაიმე საგანს შეეხო.

ერთი გუნდის მოთამაშეები მოწინააღმდეგის მიერ დარტყმული ბურთის მოსაგერიებლად ბადის ახლოს ბლოკს ქმნიან. თუ ბურთი ბლოკში ჩამდგარ ორ ან მეტ ფრენბურთელს შეეხო, ეს ერთ შეხებად ჩაითვლება, ასე რომ, ნებისმიერ დამბლოკველ მოთამაშეს უფლება აქვს, ბურთს მეორედაც შეეხოს.

თითოეულ პარტიაში გუნდს 6-6 მონაწილის შეცვლა შეუძლია. სასტარტო შემადგენლობის ნებისმიერი მოთამაშის შეცვლა მხოლოდ ერთხელ შეიძლება. შეცვლილი სპორტსმენი იმავე პარტიაში მოედანზე ვეღარ დაბრუნდება. თუ 6 შეცვლის შემდეგ რომელიმე მოთამაშე დაშავდა, შეიძლება ისიც შეიცვალოს.

ბურთზე ტამაშის დროს აკრძალულია ბადის იქით ხელის გადაყოფა, ბადის ვერტიკალური სიბრტყის გადაკვეთა და მეტოქესთან ან მოედნის მეორე ნახევართან კონტაქტი, ამასთან, მოთამაშეს უფლება არა აქვს, ბურთს შეეხოს წელქვემო ნაწილით და სხვა. გუნდს შეუძლია ყოველ პარტიაში აიღოს 30-30 წამიანი ტაიმ-აუტი.

ხელბურთი

ისტორია

ხელბურთი (ინგლ. Handball < Hand ხელი, Ball ბურთი). მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელებული სპორტული თამაში. პარტნიორები ბურთს მხოლოდ ხელით აწვდიან ერთმანეთს. მოთამაშეთა მიზანია მეტოქის კარის დალაშქვრა და საკუთრის დაცვა.

ევროპის ჩემპიონატი კაცთა და ქალთა შორის იმართება 1994 წლიდან, მსოფლიოს ჩემპიონატი კაცთა შორის 1938-იდან, ქალთა შორის 1957-იდან; ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია: 1936-იდან კაცები, 1976-იდან ქალები.

ბურთის ხელით თამაშს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, სპორტის სახეობად კი იგი XIX საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბდა. 1890 წელს გერმანელმა კონრად კოხმა შემოიღო ახალი თამაში “რაფბოლი”. იმავე პერიოდში ჩეხეთში გავრცელდა “ჰაზენა”, იგივე “ჰაზენა ტერცოვა” (ტყორცნა მიზანში), რომელიც გამოიგონეს ჩეხმა პედაგოგებმა ანტონინ კრისტოფმა და ვაცლავ კარასმა. ისინი ამ თამაშს პრადის საშუალო სკოლებში ნერგავდნენ. 1898 წელს დანიის ქალაქ ორდრუპის ქალთა გიმნაზიის მასწავლებელმა ჰოლგერ ნილსენმა შეიმუშავა ახალი წესები და ბურთის ხელით თამაში (“ჰაანდბოლდე”) ფიზიკური აღზრდის პროგრამაში ჩართო. თანამედროვე ხელბურთის დაბადების თარიღად სწორედ 1898 წელს ასახელებენ. ცნობილია



ოლიმპიური სპორტის სახეობები

ხელბურთის ორი ნაირსახეობა: 7X7 (მცირე ხელბურთი) და 11X11 (დიდი ხელბურთი), რომელიც გერმანელ მაქს ჰაიზერის თაოსნობით 1917 წლიდან გავრცელდა. მრავალი წლის განმავლობაში ორივე ნაირსახეობა პარალელურად ვითარდებოდა.

1926 წელს ჰააგაში გამართულ სამოყვარულო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის კონფერენციაზე შეიქმნა სპორტთამაშების კომისია, რომლის პირველსავე სხდომაზე დიდი და მცირე ხელბურთი დამოუკიდებელ დისციპლინებად გამოაცხადეს. ხელბურთის ისტორიაში რამდენიმე მნიშვნელოვან ეტაპს გამოყოფენ: 1) 1890-1941 თამაშის ჩასახვა, ჩამოყალიბება და გავრცელება; 2) 1941-57 დიდი ხელბურთის უპირატესი განვითარება; 3) 1957-72 მცირე ხელბურთის გავრცელება; 4) 1972-იდან მსოფლიოში ხელბურთის განვითარების თანამედროვე ეტაპი.

თავდაპირველად ხელბურთს მხოლოდ ქალები თამაშობდნენ და წესებიც მათზე იყო გათვლილი: მოედანს 3 ზონად ყოფდნენ, მეკარე და მცველები მხოლოდ საკუთარ ზონაში თამაშობდნენ, ნახევარმცველები საკუთარ და შუა, თავდამსხმელები კი შუა და მეტოქის ზონებში. ამ წესების გაუქმების შემდეგ თამაში ტაქტიკურად მრავალფეროვანი და უფრო ათლეტური გახდა. 1923 წელს შემოიღეს “3 ნაბიჯის” და “3 წამის” წესი. მოგვიანებით არაერთი ცვლილება განხორციელდა თამაშის ტემპის ასამაღლებლად და უხეშობის აღსაკვეთად. ხელბურთის პოპულარიზაციას საგრძნობლად შეუწყო ხელი 1928 წელს დაფუძნებულმა საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციამ (იარსება 1946 წლამდე), ოლიმპიურ სახეობად აღიარებამ (1936) და I მსოფლიო ჩემპიონატის გამართვამ (1938). დიდ ხელბურთში სულ კაცთა 7 და ქალთა 3 მსოფლიო ჩემპიონატი მოეწყო, 1967 წლიდან კი ასპარეზო მცირე ხელბურთის მიმდევართ დარჩათ. დღეისთვის ხელბურთს ხუთივე კონტინენტის 170-ზე მეტ ქვეყანაში 15 მილიონამდე ადამიანი თამაშობს.

ხელბურთი (11X11) ოლიმპიური თამაშების პროგრამაში პირველად 1936 წელს შეიტანეს. შეჯიბრებაში მონაწილეობდა კაცთა 6 გუნდი. ფინალში გერმანელებმა ავსტრიელებს მოუგეს. ხელბურთელები (7X7, კაცები) 36 წლის შემდეგ, 1972 წელს, კვლავ გამოჩნდნენ ოლიმპიადაზე. ქალთა (7X7) ოლიმპიური დებიუტი კი 1976 წელს მონრეალში შედგა. ოლიმპიადებში განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევდნენ ყოფილი სსრ კავშირის, იუგოსლავიისა და გდრ-ის, აგრეთვე სამხრეთ კორეისა და რუმინეთის გუნდები.

ხელბურთის საერთაშორისო ფედერაცია (International Handball Federation-IHF) დაარსდა 1946 წლის 11 ივლისს კოპენჰაგენში (დანია). დამფუძნებელი ქვეყნები: დანია, ნორვეგია, პოლონეთი, საფრანგეთი, ფინეთი, შვედეთი, შვეიცარია და ჰოლანდია. აერთიანებს 150 ქვეყნის ფედერაციას და 5 კონფედერაციას.

ევროპის ხელბურთის ფედერაცია (European Handball Federation-EHF) დაფუძნდა 1991 წლის 17 ნოემბერს ბერლინში (გერმანია). აერთიანებს 46 ქვეყნის ფედერაციას.

მსოფლიოს ჩემპიონატი (კაცები). 7X7 ხელბურთის პირველი მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიის დედაქალაქ ბერლინში გაიმართა სამოყვარულო ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით. სიმბოლურია, რომ პირველ მატჩში ერთმანეთს ხელბურთის ორი ნაირსახეობის სამშობლოს, გერმანიისა (11X11) და დანიის (7X7) ნაკრები გუნდები შეხვდნენ. გახსნის მატჩს 10 ათასი მაყურებელი დაესწრო და, ისევე როგორც მთლიანად ჩემპიონატი, მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა. მეორე ჩემპიონატი უკვე II მსოფლიო ომის შემდეგ, 1954 წელს შვედეთში ჩაატარა ხელბურთის ახალმა საერთაშორისო ფედერაციამ. 1961 წლიდან უძლიერესთა შორის მოსახვედრად შესარჩევი ტურნირები იმართება, 1995-იდან კი ფინალურ ეტაპზე 24 გუნდი თამაშობს.

გამარჯვებულები: 1938 გერმანია, 1954 შვედეთი, 1958 შვედეთი, 1961 რუმინეთი, 1964 რუმინეთი, 1967 ჩეხოსლოვაკია, 1970 რუმინეთი, 1974 რუმინეთი, 1978 გფრ, 1982 სსრკ, 1986 იუგოსლავია, 1990 შვედეთი, 1993 რუსეთი, 1995 საფრანგეთი, 1997 რუსეთი, 1999 შვედეთი, 2001 საფრანგეთი, 2003 ხორვატია.

ევროპის ჩემპიონატი (კაცები). ევროპის ხელბურთის ფედერაციამ მხოლოდ XX საუკუნის მიწურულს გადაწყვიტა კონტინენტის ჩემპიონატის გამართვა. პირველი ტურნირის ფინალური ეტაპი 1994 წელს

ოლიმპიური სპორტის სახეობები

პორტუგალიაში ჩატარდა. საქართველოს ნაკრები ყველა გათამაშების შესარჩევ ტურნირებში მონაწილეობდა, თუმცა ხშირად საშინაო მატჩებსაც მეტოქის მოედანზე ატარებდა.

გამარჯვებულები: 1994 შვედეთი, 1996 რუსეთი, 1998 შვედეთი, 2000 შვედეთი, 2002 შვედეთი, 2004 გერმანია.

მსოფლიოს ჩემპიონატი (ქალები). 1949-60 წლებში 11X11 ხელბურთში ქალთა 3 მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა, რითაც ამ შეჯიბრების ისტორია დასრულდა. 1957 წლიდან მსოფლიოს უძლიერეს ქალთა ნაკრები გუნდები 7X7 ხელბურთში ეჯიბრებიან ერთმანეთს. პირველი ჩემპიონატი იუგოსლავიაში ჩატარდა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა. საქართველოს ნაკრებმა ამ ტურნირის შესარჩევ ეტაპზე მხოლოდ ერთხელ, 1997 წელს ითამაშა.

გამარჯვებულები: 1957 ჩეხოსლოვაკია, 1962 რუმინეთი, 1965 უნგრეთი, 1971 გდრ, 1973 იუგოსლავია, 1975 გდრ, 1978 გდრ, 1982 სსრკ, 1986 სსრკ, 1990 სსრკ, 1993 გერმანია, 1995 სამხრეთი კორეა, 1997 დანია, 1999 ნორვეგია, 2001 რუსეთი, 2003 საფრანგეთი.

ევროპის ჩემპიონატი (ქალები). ევროპის ქალთა ჩემპიონატი, ისევე როგორც, კაცებისა პირველად 1994 წელს გაიმართა. საქართველოს ნაკრებმა პირველივე ტურნირის შესარჩევ ეტაპზე ითამაშა, თუმცა უსახსრობის გამო შეჯიბრება ვერ დაამთავრა. მას შემდეგ საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატში აღარ გამოსულა.

გამარჯვებულები: 1994 დანია, 1996 დანია, 1998 ნორვეგია, 2000 უნგრეთი, 2002 დანია

ხელბურთი საქართველოში

საქართველოში ხელბურთი უკრაინიდან შემოვიდა XX საუკუნის 20-იან წლებში. იმავე პერიოდში ქართულად ითარგმნა თამაშის წესები. სსრკ ხალხთა I სპარტაკიადაში (1928) მონაწილე ამიერკავკასიის ფედერაციის ნაკრები თითქმის მთლიანად ქართველი ხელბურთელებისგან შედგებოდა. 50-იანი წლებიდან დაიწყო ხელბურთის განვითარების ახალი ეტაპი. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით გიორგი შარაშიძეს, თამაზ ანთაძესა და ვლადიმერ არაქელოვს. 1956 წლიდან თბილისის “ბურევესტნიკის” კაცთა გუნდი სსრ კავშირის პირველობაში (11X11) ჩაება, 1962 წელს კი გაიმართა სსრკ I ჩემპიონატი შვიდკაცა ხელბურთში, რომელიც თბილისელებმა მოიგეს (უფროსი მწვრთნელი გიორგი შარაშიძე). ორი წლის შემდეგ “ბურევესტნიკმა” კვლავ გაიმარჯვა ამ ასპარეზოზე, 1963, 65, 66 წლებში კი პრიზიორი იყო. საქვეყნოდ გაითქვეს სახელი ჯემალ აბაიშვილმა, ჯემალ ცერცვაძემ, თამაზ ანთაძემ, ანზორ ექსელიძემ, იმედო ფხაკაძემ, ლერი კარტოზიამ, ჯანო ბაგრატიონმა, გარი მაჭავარიანმა და სხვებმა. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოს ხელბურთელები სსრკ ნაკრების შემადგენლობაში რეგულარულად მონაწილეობდნენ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში. ოლიმპიური თამაშებისა (1976) და მსოფლიოს ჩემპიონი (1982) გახდა ალექსანდრე ანპილოგოვი, მსოფლიო უნივერსიადაში (1968) გაიმარჯვეს იმედო ფხაკაძე და ალექსანდრე ხუციშვილმა.

ხელბურთის გავრცელებას ხელი შეუწყო ხშირმა საერთაშორისო შეხვედრებმა და თბილისის პოპულარულმა ტურნირმა გაზეთ “ზარია ვოსტოკას” პრიზზე, რომელიც 1966 წლიდან ტარდებოდა უძლიერესი ნაკრები გუნდების (იუგოსლავია, გდრ, გფრ, სსრკ, რუმინეთი, უნგრეთი, ესპანეთი, ჩეხოსლოვაკია, დანია, ნორვეგია, პოლონეთი) მონაწილეობით. ამ გუნდებს ტოლს არ უდებდა საქართველოს ნაკრები, რომელიც ბურევესტნიკელებისგან შედგებოდა. 1978 წელს თბილისის “ბურევესტნიკმა” (უფროსი მწვრთნელი გარი მაჭავარიანი) სსრკ თასი მოიპოვა. ამ გამარჯვებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ახალი თაობის ხელბურთელებმა: ჯემალ ბარამიძემ, გიორგი მამულაშვილმა, ვახტანგ და გიორგი ბერიაშვილებმა, ზაზა დოლიძემ, ამბერკი ტაბიძემ, ზურაბ კეკელიძემ, იოსებ კალანდაძემ, იგორ და გიორგი ნარიმანიძეებმა, ამირან კომახიძემ, ჯიმშერ დვალიშვილმა და სხვებმა.

საქართველოს ხელბურთელ ქალთა ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებად ითვლება სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში (1979) დაკავებული V ადგილი. ჩვენი ნაკრების 14 მოთამაშეს სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა.

ოლიმპიური სპორტის სახეობები

1992 წლიდან საქართველოს ეროვნული გუნდები დამოუკიდებლად მონაწილეობენ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში, ცალკეული გუნდები კი ევროპის საკლუბო შეჯიბრებებში.

საქართველოს ხელბურთის ასოციაცია დაფუძნდა 1990 წლის 5 ივნისს.

1991 წლიდან ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციისა (IHF) და ევროპის ხელბურთის ფედერაციის (EHF) დროებითი, 1992 წლის აგვისტოდან მუდმივი წევრია.

პრეზიდენტები: ნიკოლოზ ცხაკაია (1990-96), თენგიზ გაზდელიანი (1996 წლიდან).

შეჯიბრის წესები

შეჯიბრების წესები. ოფიციალური შეჯიბრებები ტარდება დარბაზებში, გვერდითი და პირითი ხაზებით შემოსაზღვრულ მართკუთხა მოედანზე, რომლის სიგრძეა 40 მ, სიგანე 20 მ. მოედანს შუაზე ყოფს ცენტრალური ხაზი. პირითი ხაზებს შუა მაგრდება კარები ბადით: სიგანე 3 მ, სიმაღლე 2 მ. კარის ძელები ხისაა (სისქე 8 სმ). ორივე კარის წინ 6 მ რადიუსის ნახევარწრივით შემოსაზღვრულია მეკარის მოედანი, 9 მ რადიუსის ნახევარწრივით თავისუფალი ტყორცნის ხაზი. ხელბურთის თამაშობენ ტყავის მრგვალი ბურთით: ქალებისთვის გარშემოწერილობა 54-60 სმ, წონა 325-375 გ, კაცებისთვის 58-60 სმ, 425-475 გ.

მატჩი შედგება ორი 30-30-წუთიანი ტაიმისგან (წმინდა დრო), ტაიმებს შორის შესვენება 10 წუთია. თითოეულ გუნდში, მეკარის ჩათვლით, 7-7 ძირითადი და 5-5 სათადარიგო მოთამაშეა. შეცვლათა რაოდენობა განსაზღვრული არ არის. ბურთი გატანილად ითვლება, თუ მთლიანად გადაკვეთს კარის ხაზს (სივრცეს). ყოველი გოლის შემდეგ თამაში ცენტრიდან უნდა განახლდეს. მატჩი შეიძლება დამთავრდეს ერთ-ერთი გუნდის გამარჯვებით ან ფრედ.

ნებადართულია ბურთის გადაწოდება ერთი ან ორივე ხელით, ტარება (დრიბლინგი) ერთი ხელით, კარში ტყორცნა დგომსა და ნახტომში, მეტოქისთვის გზის გადაღობვა, გადაწოდების ან ტარებისას ხელიდან გაშვებული ბურთის ართმევა, კარში ნატყორცნი ბურთის ბლოკირება და ა.შ. აკრძალულია ბურთის ფეხით თამაში, ბურთიანად სამზე მეტი ნაბიჯის გადადგმა, უმოქმედოდ ბურთის დაჭერა 3 წამზე მეტხანს, ბურთიანად ახტომა და დახტომა, პოზიციის შესარჩევად მეტოქის ან საკუთარი გუნდის მეკარის მოედნის გადარბენა, მეტოქის შებოჭვა, უხეშად ხელის კვრა, სარმის გამოდება, ნებისმიერი არასპორტული საქციელი. წესების დარღვევისთვის გუნდი ისჯება ბურთის ჩამორთმევით, 7-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით (პენალტი), მოთამაშე კი გაფრთხილებით (ყვითელი ბარათი), 2 წუთით ან თამაშის ბოლომდე გამეუბნებით, დისკვალიფიკაციით (წითელი ბარათი). პენალტი ინიშნება მაშინაც, თუ მოედნის მოთამაშე ბურთს გადააწვდის 6-მეტრიან ზონაში მყოფ თავის მეკარეს.

იმ შემთხვევაში, თუ ბურთმა გვერდითი ხაზი გადაკვეთა, ინიშნება ჰაუტი (ბურთი თამაშში შემოაქვთ ხელით, ხაზის გადაკვეთის ადგილიდან). თუ პირითი ხაზიდან გასულ ბურთს ბოლოს შეეხო მომგერიებელი გუნდის მოედნის მოთამაშე, ინიშნება კუთხური (ბურთი თამაშში შემოაქვთ ხელით, გვერდითი და პირითი ხაზების გადაკვეთის ადგილიდან). მეკარის მიერ მოგერიებულ და პირითი ხაზიდან გასულ ბურთს თამაშში ისევ მეკარე აბრუნებს.

ფეხბურთი

ისტორია

ფეხბურთი. (ინგლ. Football, foot –ფეხი, ball – ბურთი). ყველაზე გავრცელებული და პოპულარული გუნდური თამაში. ევროპის ჩემპიონატი კაცთა შორის იმართება 1960 წლიდან, ქალთა შორის – 1984 წლიდან; მსოფლიოს ჩემპიონატი კაცთა შორის – 1930-დან, ქალთა შორის – 1991-დან; ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია : 1900-დან კაცები, 1996 – ქალები.

ოლიმპიური სპორტის სახეობები

ფეხბურთის მსგავსი თამაშის კვალი ნაპოვნია ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში (ეგვიპტე, ჩინეთი), ანტიკურ საბერძნეთსა და რომში. 180 წლით დათარიღებულ ბერძნულ ლექსიკონში (პოლუქსი) აღწერილია ბურთით თამაშის ერთ-ერთი ნაირსახეობა: მოთამაშენი 2 გუნდად იყოფოდნენ და ბურთის მეტოქის ნახევარზე გადატანას ცდილობდნენ. თანამედროვე რაგბის მსგავსად ნებადართული იყო ძალისმიერი ილეთები, მაგრამ ხელით თამაში იკრძალებოდა.



ინგლისური წყაროებით, დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე ბურთის ფეხით თამაში IX საუკუნეში გავრცელდა. თამაშობდნენ ყველგან – ქალაქებში, სოფლებში, დღესასწაულებზე, თუმცა ზოგჯერ ორი 500 კაციანი გუნდის შეჯიბრება მუშტი-კრივით მთავრდებოდა და არა კარში ბურთის გატანით. ამიტომ 1313 წელს ინგლისის მეფე ედუარდ II ბრძანებულებით თამაში აიკრძალა: “რადგან დიდი ბურთის გორება ხმაურსა და ალიაქოთს იწვევს, ვკრძალავ ბურთაობას ქალაქის ფარგლებში”. როგორც ჩანს, ამან შედეგი ვერ გამოიღო, რადგან 1389 წელს კიდევ ერთმა მეფემ, რიჩარდ II-მ ურჩ

მობურთალებს სასჯელი გაუშკაცრა და მათთვის სიკვდილით დასჯა დააწესა. ეს კანონი მხოლოდ 1603 წელს გაუქმდა.

ფეხბურთის განვითარების ახალი ეტაპი იწყება XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან, როცა ინგლისის კერძო სკოლების ფიზიკური აღზრდის პროგრამაში ბურთის ფეხით თამაშიც შეიტანეს და პირველი ტურნირები მოაწყვეს. 1857 წლის 20 ოქტომბერს ინგლისში შეიქმნა პირველი ფეხბურთის კლუბი (“შეფილდ ფუტბოლ კლაბი”). 1863 წლის 8 დეკემბერს ლონდონში გამოქვეყნდა თამაშის პირველი წესები, რომელიც 6 მუხლისაგან შედგებოდა: 1. მოედნის სიგრძე – არაუმეტეს 200 იარდისა (183 მ), სიგანე – არაუმეტეს 100 იარდისა (91,5მ), კარის ორ დგარს (უძელოდ) შორის მანძილი – 8 იარდი (7,32მ); 2. გუნდები მხარეებს ცვლიან ყოველი გოლის შემდეგ; 3. კარი აღებულიად ითვლება, თუ ბურთმა გაიარა ძელებს შორის (წარმოსახვითი გაგრძელების ჩათვლით); 4. გვერდით ან პირით ხაზს გარეთ გასულ ბურთს თამაშში აბრუნებს ის გუნდი, რომლის ფეხბურთელიც მასთან ყველას მისაწვდომია; 5. ფეხბურთელი, რომელიც ბურთის დარტყმის მომენტში მეტოქის კართან დამრტყმელ თანაგუნდელზე ახლოსაა, თამაშგარე მდგომარეობაში ითვლება და ბურთის მიღება ან მეტოქისთვის ხელის შეშლა ეკრძალებოდა; 6. ნებადართულია ბურთის ხელით დაჭერა ან შეხება, მაგრამ აკრძალულია ბურთით ხელში მოძრაობა და ბურთის ხელით გადაცემა.

რაგბისაგან ფეხბურთის საბოლოოდ გამიჯვნის მოსურნეებმა საწადელს 1869 წელს მიაღწიეს, როცა ხელით თამაში თვით მეკარეებისთვისაც კი აიკრძალა. მხოლოდ 1871 წელს დართეს მეკარეს ნება, თავის ბაქანზე ხელით ეთამაშა, 1902 წელს კი ეს წესი მთელს საჯარიმოზე გავრცელდა. კიდევ 7 წლის შემდეგ მეკარეს განსხვავებული ფორმით თამაში დაევალა, 1933 წელს კი ინგლისის თასის გათამაშების ფინალში გუნდები პირველად გამოვიდნენ დანომრილი მასიურებით, რაც ოფიციალურად 1939 წელს დაკანონდა.

1878 წელს საფეხბურთო მინდორზე პირველად გამოჩნდა მსაჯი – მანამდე ის თამაშს მოედნის გარედან ადევნებდა თვალს და სადავო სიტუაციებს მხოლოდ მოთამაშეთა თხოვნის შემდეგ აგვარებდა. 1891 წელს საფეხბურთო კარს პირველად გაუკეთეს ბადე, შემოიღეს 12 იარდიანი (10,97მ) დარტყმა (პენალტი), მსაჯს კი 2 თანაშემწე დაუნიშნეს.

უნივერსალურობისა და ხელმისაწვდომობის გამო, ფეხბურთი სწრაფად გავრცელდა მთელს მსოფლიოში. გახშირდა საერთაშორისო შეხვედრები, რასაც სათავე დაუდო 1872 წლის 30 ნოემბერს ინგლისის და შოტლანდიის გუნდებს შორის გლაზგოში გამართულმა მატჩმა. იმავე წელს მოეწყო ინგლისის თასის პირველი გათამაშება (მსოფლიოს უძველესი საფეხბურთო ტურნირი). 1885 წელს ინგლისშივე დაკანონდა პროფესიონალური ფეხბურთი. საერთაშორისო ფედერაციის ჩამოყალიბებამ (1904) კიდევ უფრო გაააქტიურა საფეხბურთო ცხოვრება, მსოფლიოს ჩემპიონატის შემოღებამ კი (1930-დან) ფეხბურთი პლანეტაზე ყველაზე პოპულარულ თამაშად აქცია. 1950-იანი წლებიდან შეჯიბრებათა ცალენდარს შეემატა კონტინენტური ჩემპიონატები, პრესტიჟული საკლუბო ტურნირები

ოლიმპიური სპორტის სახეობები

და ახალგაზრდული პირველობები. XX საუკუნის ბოლო ოცწლეულში ფართოდ გავრცელდა ქალთა ფეხბურთიც. ფიფას 2004 წლის მონაცემებით, მსოფლიოს 200-ზე მეტ ქვეყანაში ფეხბურთის 240 მლნ. ადამიანი მისდევს.

პირველი ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირი 1900 წელს პარიზში გაიმართა (ჩატარდა სულ 2 მატჩი), თუმცა ისევე როგორც მომდევნო თამაშებზე სენტ-ლუისში, მას მხოლოდ საჩვენებელი გამოსვლის სტატუსი მიენიჭა. ამიტომ ოფიციალურ ოლიმპიურ სახეობად ფეხბურთი 1908 წლიდან ითვლება დამ ას შემდეგ, 1932 წლის ლოს ანჯელესის ოლიმპიადის გარდა ყველა თამაშების პროგრამაში იყო შეტანილი.

მე-2 მსოფლიო ომამდე განსაკუთრებით საინტერესო იყო 1924 და 1928 წლების ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირები, რომლებიც მომავალი პირველი მსოფლიო ჩემპიონის ურუგვაის ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა. ომის შემდგომ ოლიმპიადებში წარმატებას უმეტესად სოციალისტური ქვეყნების გუნდები აღწევდნენ, ვინაიდან წმინდა სამოყვარულო ტურნირებში ამ ქვეყნების ოფიციალურად მოყვარული, ფაქტობრივად კი პორფესიონალი ფეხბურთელები თამაშობდნენ. ფიფას გადაწყვეტილებით 1960 წლიდან ოლიმპიადაზე გამოსვლა აკრძალა წინა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებს, რამაც პრობლემ ავერ გადაჭრა, ტურნირის მნიშვნელობა კი დააკნინა. ვითარება გამოსწორდა 80-იან წლებში როცა ოლიმპიური თამაშების კარი პროფესიონალებისთვისაც გაიღო. ამჟამად ოლიმპიურ საფეხბურთო ტურნირებში თამაშის უფლება მხოლოდ 23 წლამდე ასაკის ფეხბურთელებს აქვთ.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია (Federation Internationale de Football Association- FIFFA) დაარსდა 1904 წლის 21 მაისს პარიზში (საფრანგეთი). დამფუძნებელი ქვეყნები: ბელგია, დანია, ესპანეთი, საფრანგეთი, შვედეთი, შვეიცარია და ჰოლანდია. აერთიანებს 205 ქვეყნის ფედერაციას და 6 კონფედერაციას.

ევროპის ფეხბურთის ფედერაცია (Union des Associations Europeennes de Football-UEFA) დაფუძნდა 1954 წლის 15 ივნისს ზაჰელში (შვეიცარია). აერთიანებს 52 ქვეყნის ფედერაციას.

მსოფლიოს ჩემპიონატი. ყველაზე პოპულარული და უმთავრესი საფეხბურთო ტურნირი. ამ შეჯიბრების ჩატარება 1928 წელს ფიფას ამსტერდამის კონგრესზე გადაწყდა. პირველი ჩემპიონატი 1930 წელს ურუგვაიში მოეწყო. ტურნირის ოფიციალური სახელწოდება ხშირად იცვლებოდა: "მსოფლიო თასი", "ჟიულ რიმეს თასი", "მსოფლიოს ჩემპიონატი ჟიულ რიმეს თასი". ამჟამად "ფიფას მსოფლიოს თასი" ჰქვია. შედგება შესარჩევი და ფინალური ეტაპებისგან. მონაწილეობენ ფიფას წევრი ქვეყნების ეროვნული გუნდები. ფინალური ეტაპები ტარდება 4 წელიწადში ერთხელ.

პირველი 9 გათამაშების მთავარი ჯილდო, ქალღმერთ ნიკეს ოქროს ქანდაკება, გამარჯვებულ გუნდებს მხოლოდ მომდევნო ტურნირამდე გადაეცემოდათ, მაგრამ 1970 წელს ბრაზილიის ნაკრებმა თასი მესამედ მოიგო და, დებულების თანახმად, მას სამუდამოდ დაეპატრონა. ახალი მთავარი პრიზი, "ფიფას მსოფლიო თასი", ფიფას საკუთრებაა და სამუდამოდ აღარავის გადაეცემა. გამარჯვებული გუნდის ფეხბურთელები ჯილდოვდებიან ოქროს მედლებით, ფინალისტები მოოქრული მედლებით, მესამე პრიზიორები ვერცხლის, მეოთხე ადგილზე გასულები კი ბრინჯაოს მედლებით.

მსოფლიოს ჩემპიონატი (ქალები). ფიფას ამჟამინდელი პრეზიდენტის, ჟოაო აველანჟის ინიციატივით ქალთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი 1991 წელს ჩინეთში გაიმართა. ფინალურ ეტაპზე 12 გუნდი გამოდიოდა და, პირველად ფიფას ისტორიაში, მისი ეგიდით გამართულ მატჩებში ქალები მსაჯობდნენ. ჩემპიონატის ფინალური ეტაპები 4 წელიწადში ერთხელ იმართება, მანამდე კი რეგიონული შესარჩევი ეტაპები ტარდება.

გამარჯვებულები: 1991 აშშ, 1995 ნორვეგია, 1999 აშშ, 2003 გერმანია.

ევროპის ჩემპიონატი. უმთავრესი საფეხბურთო ტურნირი ევროპაში. ამ შეჯიბრების ჩატარების იდეა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ანრი დელონემ ჯერ კიდევ 1927 წელს წამოაყენა, მაგრამ იმის გამო, რომ ერთიანი ევროპული საფეხბურთო ორგანიზაცია არ არსებობდა, პროექტის განხორციელება არ მოხერხდა. მხოლოდ 30 წლის შემდეგ, უფას 1957 წლის ივნისის კონგრესზე გადაწყდა ევროპის ერთა თასის გათამაშების გამართვა. ანრი დელონეს ჩანაფიქრს ხორცი შეესხა მისი ვაჟის, უფას იმდროინდელი გენერალური

ოლიმპიური სპორტის სახეობები

მდივნის პიერ დელონეს მეცადინეობით. თასს ანრი დელონეს სახელი ეწოდა და პირველად 1960 წელს გათამაშდა. 1968 წლიდან შეჯიბრებას ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი ეწოდება.

ტურნირი შედგება შესარჩევი და ფინალური ეტაპებისგან. მონაწილეობენ უეფას წევრი ქვეყნების ეროვნული გუნდები. ფინალური ეტაპები 4 წელიწადში ერთხელ ტარდება. მსოფლიოს ჩემპიონატისგან განსხვავებით, 1984 წლიდან მესამე ადგილისთვის მატჩი აღარ იმართება. 1996 წლის ევროპის ჩემპიონატი (შესარჩევი ეტაპი) პირველი ოფიციალური ტურნირი იყო, რომელშიც საქართველოს ნაკრებმა ითამაშა.

ევროპის ჩემპიონატი (ქალები). პირველი გათამაშება უეფას ეგიდით 1984 წელს გაიმართა 16 გუნდი ოლიმპიური სისტემით და მიმოსვლით მატჩებში იბრძოდა გამარჯვებისთვის. ფინალში შვედეთისა და ინგლისის ნაკრებმა გუნდებმა ერთმანეთს თითო მატჩი მოუგეს (1:0, 0:1), პენალტების სერიით კი ჩემპიონობა შვედეთმა მოიპოვა. 1997 წლამდე ჩემპიონატი 2 წელიწადში ერთხელ ტარდებოდა, შემდეგ კი უეფას გადაწყვეტილებით 4 წელიწადში ერთხელ იმართება.

გამარჯვებულები: 1984 შვედეთი, 1987 ნორვეგია, 1989 გერ, 1991 გერმანია, 1993 ნორვეგია, 1995 გერმანია, 1997 გერმანია, 2001 გერმანია.

უეფას ჩემპიონთა ლიგა (ევროპის ჩემპიონთა თასი). ევროპის ყველაზე მთავარი და პოპულარული საკლუბო ტურნირი. დაარსდა ფრანგი ჟურნალისტის გაბრიელ ანოს და გაზეთ "ეკიპის" ინიციატივით. თავდაპირველად მონაწილეობდნენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონი გუნდები. ჩემპიონთა თასის პირველი გათამაშება გაიმართა 1955-56 წლებში. ტურნირის რეგლამენტი ხშირად იცვლებოდა, 1992-93 სეზონიდან კი შეჯიბრებას "უეფას ჩემპიონთა ლიგა" დაერქვა და ოლიმპიურ სისტემას წრიული, ჯგუფური ეტაპი დაემატა. მოგვიანებით გათამაშებაში ჩემპიონების გარდა მოწინავე ქვეყნების ჩემპიონატების პრიზიორებიც დაუშვეს (ერთი ქვეყნიდან გამოდის არაუმეტეს 4 გუნდისა).

გამარჯვებულები: 1956 რეალი (მადრიდი, ესპანეთი), 1957 რეალი, 1958 რეალი, 1959 რეალი, 1960 რეალი, 1961 ბენფიკა (პორტუგალია), 1962 ბენფიკა, 1963 მილანი (იტალია), 1964 ინტერი (იტალია), 1965 ინტერი, 1966 რეალი, 1967 სელტიკი (შოტლანდია), 1968 მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი), 1969 მილანი, 1970 ფეიენოორდი (ჰოლანდია), 1971 აიაქსი (ჰოლანდია), 1972 აიაქსი, 1973 აიაქსი, 1974 ბაიერნი (მიუნხენი, გერ), 1975 ბაიერნი, 1976 ბაიერნი, 1977 ლივერპული (ინგლისი), 1978 ლივერპული, 1979 ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი), 1980 ნოტინგემ ფორესტი, 1981 ლივერპული, 1982 ასტონ ვილა (ინგლისი), 1983 ჰამბურგი (გერ), 1984 ლივერპული, 1985 იუვენტუსი (იტალია), 1986 სტიაუა (რუმინეთი), 1987 პორტუ (პორტუგალია), 1988 პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია), 1989 მილანი, 1990 მილანი, 1991 ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია), 1992 ბარსელონა (ესპანეთი), 1993 ოლიმპიკი (მარსელი, საფრანგეთი), 1994 მილანი, 1995 აიაქსი, 1996 იუვენტუსი, 1997 ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია), 1998 რეალი, 1999 მანჩესტერ იუნაიტედი, 2000 რეალი, 2001 ბაიერნი, 2002 რეალი, 2003 მილანი, 2004 პორტუ, 2005 ლივერპული.

უეფას თასი. დაარსდა ფიფას ვიცე-პრეზიდენტის, შვეიცარიელი ერნსტ ტომენის ინიციატივით. თავდაპირველად "ბაზრობათა თასი" ერქვა. მონაწილეობდნენ ევროპის იმ ქალაქების გუნდები ან ნაკრებები, სადაც საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობები ტარდებოდა. პირველი გათამაშება 1955 წელს დაიწყო და 3 წელიწადს გაგრძელდა. 1971 წლამდე შეჯიბრებას ფიფას საგანგებო ორგანიზაციის მართავდა, მას შემდეგ კი უეფა ატარებს და უეფას თასი ჰქვია. ამჟამად ტურნირში სხვადასხვა ქვეყნიდან მონაწილე გუნდების რაოდენობა განისაზღვრება "უეფას კოეფიციენტთა ცხრილით", რომელიც ევროპის გათამაშებებში ბოლო 5 წლის განმავლობაში ნაჩვენებ შედეგებს ასახავს.

გამარჯვებულები: 1958 ბარსელონა (ესპანეთი), 1960 ბარსელონა, 1961 რომა (იტალია), 1962 ვალენსია (ესპანეთი), 1963 ვალენსია, 1964 სარაგოსა (ესპანეთი), 1965 ფერენცვაროში (უნგრეთი), 1966 ბარსელონა, 1967 დინამო (ზაგრები, იუგოსლავია), 1968 ლიდს იუნაიტედი (ინგლისი), 1969 ნიუკასლ იუნაიტედი (ინგლისი), 1970 არსენალი (ინგლისი), 1971 ლიდს იუნაიტედი, 1972 ტოტენჰემ ჰოტსფური (ინგლისი), 1973 ლივერპული (ინგლისი), 1974 ფეიენოორდი (ჰოლანდია), 1975 ბორუსია (მიუნხენგლადბახი, გერ), 1976 ლივერპული, 1977 იუვენტუსი (იტალია), 1978 პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია), 1979 ბორუსია (მიუნხენგლადბახი), 1980 აინტრაქტი (ფრანკფურტი, გერ), 1981

ოლიმპიური სპორტის სახეობები

იფსვიჩი თაუნი (ინგლისი), 1982 გეტებორგი (შვეცია), 1983 ანდერლესტი (ბელგია), 1984 ტოტენჰემ ჰოტსფური, 1985 რეალი (მადრიდი, ესპანეთი), 1986 რეალი, 1987 გეტებორგი, 1988 ზაიერი (ლევერკუზენი, გერმანია), 1989 ნაპოლი (იტალია), 1990 იუვენტუსი, 1991 ინტერი (იტალია), 1992 აიაქსი (ჰოლანდია), 1993 იუვენტუსი, 1994 ინტერი, 1995 პარმა (იტალია), 1996 ზაიერი (მიუნხენი, გერმანია), 1997 შალკე (გერმანია), 1998 ინტერი, 1999 პარმა, 2000 გალათასარაი (თურქეთი), 2001 ლივერპული, 2002 ფეიენოორდი, 2003 პორტუ (პორტუგალია), 2004 ვალენსია, 2005 ცსკა (მოსკოვი, რუსეთი).

თასების მფლობელთა თასი. დაარსდა ავსტრიის, იუგოსლავიის, იტალიის, შვეიცარიის, გერმანიის, ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციების ინიციატივით. მონაწილეობდნენ ევროპის ქვეყნების ეროვნული თასის მფლობელი ან ფინალისტი გუნდები (თუ თასის მფლობელი იმავდროულად ქვეყნის ჩემპიონი ხდებოდა). ტარდებოდა ოლიმპიური სისტემით. პირველი გათამაშება გაიმართა 1960-61 წლებში. ევროპის ჩემპიონთა თასის ჩემპიონთა ლიგად გარდაქმნის შემდეგ მის მიმართ ინტერესმა იკლო და 1999 წლიდან შეუჩინებლად აღარ ჩატარებულა.

გამარჯვებულები: 1961 ფიორენტინა (იტალია), 1962 ატლეტიკო (მადრიდი, ესპანეთი), 1963 ტოტენჰემ ჰოტსფური (ინგლისი), 1964 სპორტინგი (ლისაბონი, პორტუგალია), 1965 ვესტ ჰემ იუნაიტედი (ინგლისი), 1966 ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია), 1967 ზაიერი (მიუნხენი, გერმანია), 1968 მილანი (იტალია), 1969 სლოვანი (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია), 1970 მანჩესტერ სიტი (ინგლისი), 1971 ჩელსი (ინგლისი), 1972 გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია), 1973 მილანი, 1974 მადგებურგი (გერმანია), 1975 დინამო (კიევი, სსრკ), 1976 ანდერლესტი (ბელგია), 1977 ჰამბურგი (გერმანია), 1978 ანდერლესტი, 1979 ბარსელონა (ესპანეთი), 1980 ვალენსია (ესპანეთი), 1981 დინამო (თბილისი, სსრკ), 1982 ბარსელონა, 1983 აბერდინი (შოტლანდია), 1984 იუვენტუსი (იტალია), 1985 ევერტონი (ინგლისი), 1986 დინამო (კიევი), 1987 აიაქსი (ჰოლანდია), 1988 მესხელენი (ბელგია), 1989 ბარსელონა, 1990 სამპდორია (იტალია), 1991 მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი), 1992 ვერდერი (გერმანია), 1993 პარმა (იტალია), 1994 არსენალი (ინგლისი), 1995 სარაგოსა (ესპანეთი), 1996 პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი), 1997 ბარსელონა, 1998 ჩელსი, 1999 ლაციო (იტალია).

ლიბერტადორის თასი. ოფიციალური სახელწოდებაა "კოპა ლიბერტადორეს დე ამერიკა" (ამერიკის განმათავისუფლებელთა თასი). დაარსდა 1960 წელს, როგორც სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონი გუნდების ტურნირი. 1966 წელს შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მიეცათ მეორე პრიზიორებსაც, მოგვიანებით კი მოწინავე ქვეყნების წარმომადგენლობა კიდევ უფრო გაფართოვდა.

ლიბერტადორის თასის მფლობელი ყოველ წელიწადს საკონტინენტთაშორისო თასის მოსაპოვებლად ხვდება უფასო ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებულს.

გამარჯვებულები: 1960 პენიაროლი (ურუგვაი), 1961 პენიაროლი, 1962 სანტოსი (ბრაზილია), 1963 სანტოსი, 1964 ინდეპენდიენტე (არგენტინა), 1965 ინდეპენდიენტე, 1966 პენიაროლი, 1967 რასინგი (არგენტინა), 1968 ესტუდიანტესი (არგენტინა), 1969 ესტუდიანტესი, 1970 ესტუდიანტესი, 1971 ნასიონალი (ურუგვაი), 1972 ინდეპენდიენტე, 1973 ინდეპენდიენტე, 1974 ინდეპენდიენტე, 1975 ინდეპენდიენტე, 1976 კრუსეირო (ბრაზილია), 1977 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა), 1978 ბოკა ხუნიორსი, 1979 ოლიმპია (პარაგვაი), 1980 ნასიონალი, 1981 ფლამენგო (ბრაზილია), 1982 პენიაროლი, 1983 გრემიო (ბრაზილია), 1984 ინდეპენდიენტე, 1985 არგენტინოს ხუნიორსი (არგენტინა), 1986 რივერ პლეიტი (არგენტინა), 1987 პენიაროლი, 1988 ნასიონალი, 1989 ატლეტიკო ნასიონალი (მედელინი, კოლუმბია), 1990 ოლიმპია, 1991 კოლო კოლო (ჩილე), 1992 სან-პაულუ (ბრაზილია), 1993 სან-პაულუ, 1994 ველეს სარსფილდი (არგენტინა), 1995 გრემიო, 1996 რივერ პლეიტი, 1997 კრუსეირო, 1998 ვასკუ და გამა (ბრაზილია), 1999 პალმეირასი (ბრაზილია), 2000 ბოკა ხუნიორსი, 2001 ბოკა ხუნიორსი, 2002 ოლიმპია, 2003 ბოკა ხუნიორსი, 2004 ონსე კალდასი (კოლუმბია).

საკონტინენტთაშორისო თასი. დაარსდა 1960 წელს მადრიდის "რეალის" ინიციატივით. თასისთვის ერთმანეთს ხვდებიან ევროპის ჩემპიონთა თასის (ჩემპიონთა ლიგის) და ლიბერტადორის თასის მფლობელები. თავდაპირველად ტარდებოდა ორი მატჩი (შინ და სტუმრად). ბურთების უკეთეს სხვაობას მნიშვნელობა არ

ოლიმპიური სპორტის სახეობები

ენიჭებოდა თითო მოგების შემთხვევაში გამარჯვებულის გამოსავლენად მესამე მატჩი ინიშნებოდა. 70-იან წლებში ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელები ზოგჯერ უარს ამბობდნენ საკონტინენტაშორისო თასისთვის თამაშზე, ვინაიდან ხშირი იყო კონფლიქტები და ხელჩართული ჩხუბიც კი. 1980 წლიდან გათამაშების სპონსორია იაპონიის ფირმა "ტოიოტა". მას შემდეგ ფინალი ერთი მატჩისგან შედგება და იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში იმართება.

გამარჯვებულები: 1960 რეალი (მადრიდი, ესპანეთი), 1961 პენიაროლი (ურუგვაი), 1962 სანტოსი (ბრაზილია), 1963 სანტოსი, 1964 ინტერი (იტალია), 1965 ინტერი, 1966 პენიაროლი, 1967 რასინგი (არგენტინა), 1968 ესტუდიანტესი (არგენტინა), 1969 მილანი (იტალია), 1970 ფეიენოორდი (ჰოლანდია), 1971 ნასიონალი (ურუგვაი), 1972 აიაქსი (ჰოლანდია), 1973 ინდეპენდიენტე (არგენტინა), 1974 ატლეტიკო (მადრიდი, ესპანეთი), 1975 არ ჩატარებულა, 1976 ბაიერნი (მიუნხენი, გერმ.), 1977 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა), 1978 არ ჩატარებულა, 1979 ოლიმპია (პარაგვაი), 1980 ნასიონალი, 1981 ფლამენგო (ბრაზილია), 1982 პენიაროლი, 1983 გრემიო (ბრაზილია), 1984 ინდეპენდიენტე, 1985 იუვენტუსი (იტალია), 1986 რივერ პლეიტი (არგენტინა), 1987 პორტუ (პორტუგალია), 1988 ნასიონალი, 1989 მილანი, 1990 მილანი, 1991 ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია), 1992 სან-პაულუ (ბრაზილია), 1993 სან-პაულუ, 1994 ველეს სარსფილდი (არგენტინა), 1995 აიაქსი, 1996 იუვენტუსი, 1997 ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია), 1998 რეალი, 1999 მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი), 2000 ბოკა ხუნიორსი, 2001 ბაიერნი, 2002 რეალი, 2003 ბოკა ხუნიორსი, 2004 პორტუ.

ფეხბურთი საქართველოში

საქართველოში ფეხბურთი ისევე როგორც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, ინგლისელებმა შემოიტანეს.. ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში ჩამომდგარი ბრიტანული გემების მეზღვაურები ერთმანეთში ხშირად თამაშობდნენ "ფუტბოლს", რომელიც მალე ქართველმა ლელობურთელებმაც დააჭაშნიკეს და სწრაფადაც შეითვისეს. ძნელი სათქმელია, ზუსტად როდის გაიმართა ჩვენში პირველი საფეხბურთო მატჩი, თუმცა ფაქტია, რომ სპორტის ეს სახეობა ქართულ პრესაში პირველად 1890 წელს მოიხსენიება.

ზღვისპირეთიდან ფეხბურთი სწრაფად გავრცელდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მალე მისი განვითარების ცენტრად თბილისი იქცა. 1906 წელს სწორედ დედაქალაქში ჩამოყალიბდა "ბურთის ფეხით მოთამაშეთა" პირველი გუნდი. ამ საქმის თაოსანი იყო ტანვარჯიშული საზოგადოება "სოკოლის" პრეზიდენტის წევრი ადოლფ ელზენგერი. მანვე თარგმნა ინგლისურიდან ფეხბურთის წესები.

პირველ ხანებში ფეხბურთში შეხვედრებს შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და უმთავრესად გიმნაზიელთა ექსკურსიებზე ტარდებოდა, თუმცა მალე ვითარება შეიცვალა. 1907 წლის 23 თებერვალს თბილისის გუბერნიის საზოგადო საქმეთა საკრებულომ განიხილა ფეხბურთელთა პირველი ოფიციალური გუნდის "კომეტის" განცხადება და მცირე შეზღუდვებით მისი წესდებაც დაამტკიცა. ამის მიუხედავად, თბილისში საფეხბურთო მატჩის გამართვა კიდევ კარგა ხანს ვერ მოხერხდა, ვინაიდან "კომეტას" მოწინააღმდეგე არ ჰყავდა.

1908-09 წლებში ფეხბურთელთა გუნდები შეიქმნა თბილისის სასწავლებლებში. 1909 წლის 22 ოქტომბერს ქუთაისში ექსკურსიაზე მყოფმა თბილისის ვაჟთა I და II გიმნაზიების გუნდებმა საქართველოში პირველი ოფიციალური საჩვენებელი მატჩი გამართეს. შეხვედრა ხოპელ კაზაკთა პოლკის მოედანზე მოეწყო და მას ქუთაისის გუბერნატორიც კი ესწრებოდა. 1912 წელს ჩატარდა თბილისის პირველობა, რომელიც I გიმნაზიის გამარჯვებით დამთავრდა. ამავე ხანებში ათეულობით გუნდი ჩამოყალიბდა სოხუმში, ქუთაისში, ბათუმსა და ფოთში. მართალია, პირველი მსოფლიო ომის დროს საფეხბურთო ცხოვრების რიტმი შესამჩნევად შეიცვალა, დამოუკიდებელ საქართველოში (1918-1921) ასამდე გუნდი მაინც არსებობდა. იმ დროს ჩვენში ვერ შეიქმნა ერთიანი საფეხბურთო ორგანიზაცია, რომელიც ფიფაში გაწევრიანებას შეძლებდა.

1924 წლისთვის საქართველოში უკვე 120 გუნდი იყო, თუმცა უმრავლესობას სავარჯიშოდ მუდმივი ადგილი არ ჰქონდა და არც მწვრთნელი ჰყავდა. 1925 წელს გაიმართა საქართველოს პირველი ჩემპიონატი, 6 გუნდის მონაწილეობით. ფინალში თბილისის ნაკრებმა აფხაზეთის ნაკრებს 3:1 მოუგო. იმავე წლის ნოემბერში შეიქმნა თბილისის "დინამო", რომელიც 1936-1989 წლებში ფაქტობრივად საქართველოს ნაკრებს წარმოადგენდა სსრ კავშირის ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში. პირველი მატჩი სსრკ უმაღლეს ლიგაში "დინამომ" 1936 წლის 7 სექტემბერს გამართა თბილისში კიევის "დინამოსთან" (2:2). იმ პირველ სეზონში ქართულმა გუნდმა ჩემპიონატის

ოლიმპიური სპორტის სახეობები

ბრინჯაოს მედლები მოიპოვა და თასის გათამაშების ფინალშიც გავიდა. ქართველ ფეხბურთელთა პირველმა თაობებმა ვერ შეძლეს საკავშირო ჩემპიონატისა და თასის მოგება, თუმცა "დინამო" ყოველთვის ითვლებოდა სსრკ ფეხბურთის ერთ-ერთ გამორჩეულ და თვითმყოფად გუნდად. სწორედ იმ დროს, მეორე მსოფლიო ომის წინა და შემდგომ პერიოდში, "დინამოში" თამაშობდა არაერთი გამოჩენილი ფეხბურთელი: ბორის პაიჭაძე, გაიოზ ჯეჯელავა, მიხეილ ბერძენიშვილი, ავთანდილ ლოღობერიძე და სხვები.

პირველი დიდი წარმატება დინამოელებმა 1964 წელს იხილეს, როცა ტაშკენტში გამართულ "ოქროს მატჩში" 4:1 დაამარცხეს მოსკოვის "ტორპედო" და სსრკ ჩემპიონობა მოიპოვეს. იმ დროს გუნდის მთავარი მწვრთნელი რუსი სპეციალისტი გავრილ კაჩალინი იყო. მეორედ და უკანასკნელად კი "დინამომ" სსრკ ჩემპიონატი მოიგო 1978 წელს, როცა გუნდს ნოდარ ახალკაცი წვრთნიდა. სწორედ ახალკაცის თავკაცობით მოიპოვა ჩვენმა გუნდმა სხვა დიდი წარმატებებიც: 1976 და 1979 წლებში საბჭოთა კავშირის თასი, 1981



წლის 13 მაისს კი ევროპის თასების მფლობელთა თასი. ამ ტურნირის ფინალური მატჩი გაიმართა დიუსელდორფის "რაინშტადიონზე", სადაც "დინამომ" გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის "კარლ ცაისი" 2:1 დაამარცხა.

საბჭოური დროის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელები სსრკ ნაკრების ღირსებას იცავდნენ. სხვადასხვა დროს ამ გუნდის კაპიტნები იყვნენ მურთაზ ხურცილავა და ალექსანდრე ჩივაძე. მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი და გივი ჩოხელი სსრკ ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონები გახდნენ (1960), გელა კეტაშვილმა კი ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი მოიპოვა (1988).

თბილისის "დინამოს" გარდა სსრკ ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში სხვადასხვა დროს კიდევ ოთხი ქართული გუნდი გამოდიოდა (თბილისის "ლოკომოტივი", თბილისის "სპარტაკი", ქუთაისის "ტორპედო" და ლანჩხუთის "გურია"), თუმცა დინამოელთა მსგავსი წარმატებისთვის მათგან არც ერთს არ მიუღწევია.

1990 წლის 15 თებერვალს შეიქმნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, რომლის პირველ პრეზიდენტადაც ნოდარ ახალკაცი აირჩიეს. დამოუკიდებელი ფედერაციის პირველმა ყრილობამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება ყველა ქართულ გუნდს დაეტოვებინა საბჭოური შეჯიბრებები. იმავე წელს გაიმართა საქართველოს პირველი დამოუკიდებელი ჩემპიონატი და თასის გათამაშება.

ორწლიანი იზოლაციის შემდეგ, 1992 წლის 25 თებერვალს, ფიფამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ჯერ დროებით წევრად მიიღო, იმავე წლის 3 ივლისს კი მუდმივი წევრის სტატუსიც მიანიჭა. მალე სფფ უეფაშიც გაწევრიანდა. მას შემდეგ საქართველოს ეროვნული გუნდი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში გამოდის, საკლუბო გუნდები კი ევროთასების გათამაშებებში მონაწილეობენ.

ასობით ქართველი ფეხბურთელი თამაშობს უცხოური კლუბებში. მათგან ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია კახა კალაძემ, რომელმაც 2003 წელს იტალიის "მილანის" შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაფუძნდა 1990 წლის 15 თებერვალს. 1992 წლის 25 თებერვლიდან ფეხბურთის ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის (FIFA) დროებითი წევრია, იმავე წლის 3 ივლისიდან მუდმივი წევრი, 1993 წლის 17 ივნისიდან ფეხბურთის ასოციაციების ევროპის კავშირის (UEFA) მუდმივი წევრი.

პრეზიდენტები: ნოდარ ახალკაცი (1990-98), მერაბ ჟორდანიას (1998-05), ნოდარ ახალკაცი-უმცროსი (2005 წლიდან).

ოლიმპიური სპორტის სახეობები

საქართველოს ჩემპიონატი. ეროვნული ჩემპიონატის პირველი მატჩი გაიმართა 1990 წლის 30 მარტს: თბილისის "იბერია" ფოთის "კოლხეთი 1913", 0:1. პირველი ჩემპიონატი მოეწყო გაზაფხულ-შემოდგომის სისტემით, მეორე ერთ წრედ, მას შემდეგ კი შეჯიბრება შემოდგომა-გაზაფხულის სისტემით ტარდება. ჩემპიონები: 1990-99 "დინამო" თბილისი, 2000-02 "ტორპედო" ქუთაისი, 2003 "დინამო" თბილისი, 2004 "ვიტ ჯორჯია" თბილისი, 2005 "დინამო" თბილისი.

საქართველოს თასი. ეროვნული თასის პირველი გათამაშებიდან (1990) მოყოლებული, ფინალური მატჩი 26 მაისს თბილისში ტარდება. 2001 წლიდან გათამაშებას დავით ყიფიანის სახელი მიენიჭა. გამარჯვებულები: 1990 "გურია" ლანჩხუთი, 1992-97 "დინამო" თბილისი, 1998 "დინამო" ბათუმი, 1999 "ტორპედო" ქუთაისი, 2000 "ლოკომოტივი" თბილისი, 2001 "ტორპედო" ქუთაისი, 2002 "ლოკომოტივი" თბილისი, 2003-04 "დინამო" თბილისი, 2005 "ლოკომოტივი" თბილისი.

შეჯიბრის წესები

ოფიციალური მატჩები იმართება ბალახისსაფარიან მინდორზე, გამოწკლის შემთხვევაში დახურულ მოედანზე.

მოედნის სიგრძეა 90-120 მ, სიგანე 45-90 მ (ყველაზე გავრცელებული ზომებია 105X70 მ). მოედანი შემოსაზღვრულია 15 სმ სიგანის თეთრი ფერის გვერდითი და პირითი ხაზებით, შუა ხაზით კი გაყოფილია ორ თანაბარ ნაწილად. მოედნის შუაგულში მონიშნულია ცენტრალური წრე (რადიუსი 9,15 მ). პირითი ხაზების შუაში მაგრდება კარი ბადით: სიგანე 7,32 მ, სიმაღლე 2,44 მ. მეკარის ბაქნის ზომებია: სიგრძე 7,32 + (5,5X2) მ, სიგანე 5,5 მ. საჯარიმო მოედნის ზომები: სიგრძე 7,32 + (16,5X2) მ, სიგანე 16,5 მ. 11-მეტრიანის ნიშნულიდან საჯარიმო მოედნის გარეთ გავლებულია 9,15 მ რადიუსის ნახევარწრე.



ფეხბურთის ბურთი ტყავისაა და სფეროს ფორმა აქვს. წონა 410-450 გ., გარშემოწერილობა 68-71 სმ, წნევა 0,6-1,1 ატმ. ფეხბურთელის აუცილებელი ეკიპირება: მაისური, ტრუსი, გეტრი, საწვივე, ფეხსაცმელი.

თითოეულ გუნდში, მეკარის ჩათვლით, 11-11 ფეხბურთელია (მატჩი არ ჩატარდება, თუ რომელიმე გუნდში შვიდზე ნაკლები მოთამაშეა). თამაში შეიძლება სხეულის ნებისმიერი ნაწილით, გარდა ხელისა. ხელით თამაშის უფლება აქვს მეკარეს, ამასთან, მხოლოდ თავისი საჯარიმო მოედნის ფარგლებში. ნებადართულია მოთამაშეთა შეცვლა (შეცვლათა რაოდენობა განისაზღვრება დებულებით). შეხვედრის ხანგრძლივობა 90 წუთი (ორი 45-წუთიანი ტაიმი 15-წუთიანი შესვენებით). მატჩი შეიძლება დამთავრდეს ერთ-ერთი გუნდის გამარჯვებით ან ფრედ. ბურთი გატანილად ითვლება, თუ მთლიანად გადაკვეთს ძელებით და ხარისხით შემოსაზღვრულ კარის ხაზს (სივრცეს).

მატჩის მსვლელობას აკონტროლებს მსაჯი, რომელიც ორ თანამემწესთან ერთად უზრუნველყოფს წესების დაცვას. მსაჯის გადაწყვეტილება საბოლოოა. ფეხბურთში ერთ-ერთი ძირითადია "თამაშგარე მდგომარეობის" წესი. ფეხბურთელი თამაშგარე მდგომარეობაშია, თუ მეტოქის პირით ხაზთან ის უფრო ახლოსაა, ვიდრე ბურთი და მოწინააღმდეგე გუნდის ბოლოსწინა მოთამაშე. ეს წესი არ მოქმედებს კარიდან ბურთის დარტყმის, აუტისა და კუთხურის დროს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა ფეხბურთელი ბურთს მეტოქისგან იღებს ან პასიურ მდგომარეობაშია და პოზიციის წყალობით უპირატესობას არ ფლობს.

თამაშის წესების დარღვევის, აკრძალული ილეთების გამოყენებისა და არასპორტული საქციელისთვის გუნდი ისჯება საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმით.

ოლიმპიური სპორტის სახეობები

საჯარიმო დარტყმა ინიშნება მეტოქის მოცეღვის, ფეხის ან ხელის კვრისა და ჩარტყმის (ან ამის მცდელობის), ხელით დაჭერის, არასწორად შესრულებული ფეხვარდნის, ბურთის განზრახ ხელით თამაშის შემთხვევაში. თუ მოთამაშემ საკუთარი საჯარიმო მოედნის ფარგლებში ზემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე წესი დაარღვია, ინიშნება 11-მეტრიანი დარტყმა (პენალტი).

თავისუფალი დარტყმა ინიშნება სახიფათო თამაშის, მეტოქის წინსვლის ბლოკირების, მეკარეზე თავდასხმის შემთხვევებში. თავისუფალი დარტყმით ისჯება მეკარეც, თუ: ბურთს ხელში 6 წამზე მეტ ხანს გააჩერებს; ხელიდან გაშვებულ ბურთს ისევ ხელით შეეხება; პარტნიორის მიერ ფეხით მიწოდებულ ბურთს ხელში აიღებს; დროს განზრახ აჭიანურებს.

საჯარიმო და თავისუფალი დარტყმები სრულდება წესის დარღვევის ადგილიდან. უშუალოდ საჯარიმო დარტყმიდან გატანილი ბურთი ითვლება, თავისუფალი დარტყმისას კი აუცილებელია ბურთი შეეხოს მიწის დონის რომელიმე მოთამაშეს ან მეკარეს.

ყვითელი ბარათით (გაფრთხილება) მოთამაშე ისჯება: არასპორტული საქციელისთვის; მსაჯის გადაწყვეტილების დემონსტრაციული აპელირებისთვის, თამაშის წესების სისტემატური დარღვევისთვის, თამაშის განახლების განზრახ შეფერხებისთვის, საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმისას წესით გათვალისწინებული დისტანციის (9,15 მ) დაუცველობისთვის, მსაჯის ნებადაურთველად მოედნიდან გასვლის ან შემოსვლისთვის.

წითელი ბარათით (მოედნიდან გაძევება) მოთამაშე ისჯება: თამაშის წესების სერიოზული დარღვევისთვის; აგრესიული მოქმედებისთვის; განზრახ ხელით თამაშისთვის, რაც მეტოქეს ხელს შეუშლის გოლის გატანაში; აშკარა საგოლე პოზიციაში მყოფი მეტოქის ისეთი აკრძალული ხერხით შეჩერებისთვის, რომლისთვისაც დაწესებულია საჯარიმო დარტყმა ან პენალტი; შეურაცხმყოფელი ქცევისა და უწმაწური სიტყვებისთვის; ერთ მატჩში ორი გაფრთხილებისთვის.

კარიდან დარტყმა ინიშნება, თუ ბურთმა მთლიანად გადაკვეთა (მიწაზე ან ჰაერში) პირითი ხაზი და მას ბოლოს შეეხო შემტევი გუნდის ფეხბურთელი. დარტყმა სრულდება მეკარის ბაქნის ნებისმიერი ადგილიდან. თუ პირითი ხაზიდან გასულ ბურთს ბოლოს შეეხო მომგერიებელი გუნდის მოთამაშე, ინიშნება კუთხური დარტყმა, რომელიც სრულდება უახლოესი კუთხური აღმის სექტორიდან. თუ ბურთმა მთლიანად გადაკვეთა გვერდითი ხაზი, მოწინააღმდეგე გუნდს ეძლევა აუტის უფლება. აუტიდან ბურთი თამაშში შემოაქვთ ხელით, გვერდითი ხაზის გადაკვეთის ადგილიდან.

იმ შემთხვევაში, თუ თამაშის წესების ძირითადი პრინციპები არ ირღვევა და და შესაბამისი ეროვნული ფედერაცია თანახმაა, ქალთა, ჯაბუკ (16 წლამდე) და ვეტერან (35 წელს ზევით) ფეხბურთელთა ტურნირებზე დასაშვებია წესების (ბურთის, მოედნისა და კარის ზომები, მატჩის ხანგრძლივობა, შეცვლათა რაოდენობა) მოდიფიკაცია.

საფეხბურთო ტურნირები იმართება წრიული, ოლიმპიური ან შერეული სისტემით.

ცურვა

ისტორია

ცურვა. სპორტის ერთ-ერთი უძველესი და პოპულარული სახეობა. შეჯიბრება სხვადასხვა დისტანციაზე კროლით (თავისუფალი სტილი), ბრასით, ბატერფლაით (დელფინი) და გულადმა ცურვაში.

ევროპის ჩემპიონატი იმართება 1926 წლიდან, მსოფლიოს ჩემპიონატი 1973-იდან; ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1896-დან კაცები, 1912-იდან ქალები.

ცურვას ადამიანისთვის უხსოვარი დროიდანვე დიდი პრაქტიკულ-საყოფაცხოვრებო მნიშვნელობა ჰქონდა, უწინარესად თევზაობის, ნადირობისა და მტერთან შეტაკების დროს. ცურვის შორეულ წარსულზე მეტყველებს

ოლიმპიური სპორტის სახეობები

არაერთი ნივთიერი თუ წერილობითი საბუთი. ზემო ეგვიპტეში ნაპოვნია თიხის ცილინდრული ტვიფარი, რომელზეც გამოსახულია სამეფო ოჯახში ცურვის გაკვეთილის სცენები (ძვ.წ. 3200 წ.). ლიბიის უდაბნოში კლდეზე გამოსახული მოცურავის ფიგურა ძვ.წ. IV საუკუნით თარიღდება. დაახლოებით 3 ათას წელს ითვლის ტურინის მუზეუმში დაცული მოცურავის ბარელიეფი. ცურვის ელემენტები აღბეჭდილია ინდოეთში, საბერძნეთსა და ძველ რომში აღმოჩენილ არაერთ ლარნაკსა და ამფორაზე. მოცურავთა შესახებ გვიამბობენ ბერძენი ისტორიკოსები, მათ შორის ჰეროდოტე. ძველი საბერძნეთის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, რეფორმატორი სოლონი უბირ ადამიანს ასე ახასიათებდა: "არც ცურვა იცის, არც კითხვა".



სპორტული ცურვა XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ჩაისახა. პირველი შეჯიბრება გაიმართა 1515 წელს ვენეციაში, პირველი სახელმძღვანელო შეადგინა დანიელმა ნ. ვინმანმა (1538). ცურვის სკოლები გაიხსნა გერმანიაში, ავსტრია-უნგრეთში, საფრანგეთში (XVIII საუკუნის II ნახევარში). 1869 წელს ინგლისში შეიქმნა ცურვის მოყვარულთა პირველი სპორტული ორგანიზაცია, პირველ საერთაშორისო შეჯიბრებას კი ბუდაპეშტმა უმასპინძლა (1889). XIX საუკუნის შუა წლებიდან ევროპაში დაიწყო ხელოვნური საცურაო აუზების მშენებლობა.

ისტორიულად ჩამოყალიბდა და გავრცელდა ცურვის რამდენიმე ძირითადი სტილი. ყველაზე სწრაფი და ეკონომიური ხერხია კროლით მკერდზე ცურვა. 1898 წელს ეს სტილი პირველად გამოიყენა ავსტრალიელმა ალენ ვიკემმა, 1902 წელს კი მისმა თანამემამულემ დიკ ქევილმა წარმოადგინა კროლის ტექნიკის გაუმჯობესებული, 2-დარტყმიანი ვარიანტი. ამიტომ ამ სტილს თავდაპირველად ავსტრალიურ კროლად მოიხსენიებდნენ. 100-მეტრიან დისტანციაზე 1-წუთიანი ზღვარი პირველად გადალახა ლეგენდარულმა ჯონ ვაისმიულერმა 58.9 წმ (1922). უძველესი სპორტული სტილია ბრასით მკერდზე ცურვა ("ზაყაყური"), რომელიც ინგლისელებმა XVIII საუკუნის 70-იან წლებში ინდოელებისგან გადაიღეს. ბრასით ცურვის ტექნიკა დროთა განმავლობაში არაერთხელ შეიცვალა; ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1904-იდან. შეჯიბრებისას ნებადართული იყო ბატერფლაის, როგორც ბრასის ნაირსახეობის გამოყენება. 1953 წელს ბატერფლაი დამოუკიდებელ დისციპლინად აღიარეს და იმავდროულად წესებში ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებაც შეიტანეს: დაუშვეს ფეხების სიმეტრიული მოძრაობა ვერტიკალურ სიბრტყეში. ასე წარმოიშვა ბატერფლაის ჩქაროსნული ნაირსახეობა დელფინი, რომლის ოლიმპიური ისტორიაც 1956-იდან იწყება. გულადმა ცურვის ოლიმპიური დებიუტი 1900 წელს შედგა და ამან საგრძნობლად შეუწყო ხელი ახალი სტილის დამკვიდრებას. იმდროინდელ შეჯიბრებებში უმთავრესად გულადმა ბრასს იყენებდნენ. 1912 წლის ოლიმპიურ თამაშებში ამერიკელმა ჰარი ჰებნერმა ე.წ. გადაბრუნებული კროლით გაიმარჯვა და საბოლოოდ დადასტურდა, რომ ეს ხერხი უფრო სწრაფი იყო. ზურგზე ცურვის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ასევე ამერიკელ ადოლფ კიფერს: 30-იან წლებში მან შემოიტანა ფეხების 6-დარტყმიანი რაციონალური ტექნიკა, რითაც საგრძნობლად გაზარდა ცურვის სისწრაფე.

შემდგომმა ტექნიკურმა პროგრესმა, წვრთნის მეთოდის სრულყოფამ, საერთაშორისო შეჯიბრებების გახშირებამ, რეკორდების რეგისტრაციის შემოღებამ ცურვა ერთ-ერთ ყველაზე განვითარებად და მასობრივ სახეობად აქცია.

ცურვის საერთაშორისო ფედერაცია (Federation Internationale de Natation – FINA) დაარსდა 1908 წლის 19 ივლისს ლონდონში (ინგლისში). დამფუძნებელი ქვეყნები: ბელგია, გერმანია, დანია, ინგლისი, ირლანდია, საფრანგეთი, უელსი, უნგრეთი, ფინეთი და შვედეთი. ფედერაციაში შექმნილია ცურვის, წყალში ხტომის, წყალბურთისა და ყვინთვის კომიტეტები. აერთიანებს 189 ქვეყნის ფედერაციას.

საქართველოში, ისევე როგორც მთელს რუსეთის იმპერიაში, სპორტული ცურვა შედარებით გვიან გავრცელდა. 1912 წელს სტოკჰოლმის ოლიმპიურ თამაშებში რუსეთის მოცურავეთა კრახის გამო ჟურნალი "რუსკი სპორტ" წერდა: "რუსეთში ცურვა, როგორც სპორტი, ისე ცუდადაა განვითარებული, რომ ყველა დანარჩენ სახეობას ჩამორჩება. საქმეს ვერ შველის შუვალიოვის ცურვის სკოლა, რომელიც მთელს თვალუწვდენელ რუსეთში ერთადერთია". (N1, 1913). თვალუწვდენელ რუსეთის იმპერიაში იგულისხმებოდა საქართველოც, სადაც ცურვა ზღვის, ტბებისა და მდინარეების სანაპიროებზე მცხოვრებლებმა თუ იცოდნენ. XIX საუკუნის 90-იან წლებში სახელი გაითქვა ბათუმის პორტის მუშამ მამედ ბედიამ, რომელმაც ბათუმიდან ფოთამდე 59 კმ შეუსვენებლად გაცურა. ეს 25 კმ-ით სჯობდა ინგლისის ფლოტის კაპიტნის მეტიუ ვების მაჩვენებელს. 1875 წელს ვებმა ლა-მანშის სრუტე (34,6 კმ) 21 საათსა და 44 წუთში გადაცურა, რითაც სათავე დაუდო მარათონულ ცურვას (მამედ ბედიას შედეგი დროის მიხედვით არ აღწუსებულა და ამიტომაც ვერ მოხვდა საერთაშორისო მიღწევათა სიაში).

პირველ მსოფლიო ომამდე სპორტულ ცურვას მხოლოდ ბათუმში მისდევდნენ და, ვინაიდან ქალაქში დახურული აუზი არ იყო, უმეტესად ზაფხულობით ვარჯიშობდნენ. საქართველოში, სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად, ცურვის სწავლებას ყურადღება 1920-30-იან წლებში მიექცა, რასაც ხელი შეუწყო თბილისის, ბათუმისა და სოხუმის ბუნებრივ წყალსატევებზე საზაფხულო საცურაო ბაზების მომრავლებამ, მშდ კომპლექსის შემოღებამ (1931), სპეციალური ნორმატივების დაწესებამ და ბავშვთა სპორტული სკოლების დაარსებამ.

1936 წელს თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე (იქ, სადაც დღეს რესტორანი "არაგვია"), აშენდა სსრ კავშირში პირველი 8-ბილიკიანი და 50-მეტრიანი საცურაო აუზი, 1945 წელს საქართველოში პირველი 25-მეტრიანი აუზი (მაშინდელი "დინამოს" სტადიონის ტრიბუნების ქვეშ), 1956 წელს ზამთრის პირველი დახურული 50-მეტრიანი აუზი გათბობით (თბილისი, ვაკე). ამავე წლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონს კიდევ რამდენიმე საცურაო აუზი შეემატა, რამაც სპორტული ცურვის მასობრიობა განაპირობა.

საქართველოს პირველი ოფიციალური რეკორდი 1928 წელს დაამყარა ბათუმელმა ნიკოლოზ პაკროვსკიმ, რომელმაც 100 მ თავისუფალი სტილით 1.08,6 წუთში დაფარა. რეკორდების აღრიცხვა 1934 წელს განახლდა, ამ პერიოდიდან რეგულარულად ტარდებოდა საქართველოს ჩემპიონატებიც, მათ შორის დღეისათვის უჩვეულო დისციპლინებში: გვერდულად ცურვაში, 50 მ ყუმბარით და შაშხანით, ტანსაცმლით, ტანსაცმლითა და შაშხანით ცურვაში, 25 და 50 მეტრზე ყვინთვაში. კაცებში სპორტის ოსტატის წოდება პირველს მიენიჭა თბილისელ სერგეი ილინს (1939), ქალებში ასევე თბილისელ ლია ფაჩულიას (1951).

საუკეთესო სპორტულ შედეგებს საქართველოს მოცურავეებმა XX საუკუნის 20-იან წლებში მიაღწიეს, როცა საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე არაერთი მედალი მოიპოვეს. ამ წარმატებებს საფუძველი ჩაუყარა პეტრე მშვენიერაძემ, რომელიც 1948 წლის საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორი გახდა (100 მ, ბრასი). მშვენიერაძემ ბრასით ცურვაში 11 რეკორდი დაამყარა, მერე კი წყალბურთში გადავიდა და საქვეყნოდ გაითქვა სახელი. ქალთაგან საკავშირო ჩემპიონატის პირველი მედალი (ვერცხლი) მოიპოვა ლია ფაჩულიამ (1951, გვერდულად ცურვა). იმავე ჩემპიონატში 2 დისტანცია (200 და 400 მ, გულაღმა ცურვა) მოიგო სოხუმელმა ვლადიმერ ლავრინენკომ. საქართველოს წარმომადგენელთაგან პირველი (ჯერჯერობით ერთადერთი) ოლიმპიური მედალი (ბრინჯაო) მოიპოვა (1956, 4X200 მ) და მსოფლიოს პირველი რეკორდსმენი (1956, 4X200 მ) გახდა თბილისელი ბორის ნიკიტინი. მანვე პირველმა დაისაკუთრა ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედალი (1958, 4X200 მ). ქალთა შორის ევროპის ჩემპიონატში პირველმა გაიმარჯვა და რეკორდი დაამყარა თინათინ ლეკვეიშვილმა (1970, 100 მ გულაღმა ცურვა). მსოფლიოს ჩემპიონატების პირველი მედალოსანია (ბრინჯაო) ირინა გერასიმოვა (1975, 4X100, თავისუფალი სტილი). 70-იან წლებში საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე გამოირჩეოდნენ იგორ ომელჩენკო და იგორ კუშპელიოვი.

საქართველოს მოცურავეთა პირველი წარმატებები დაკავშირებული იყო ლუკა იოაკიმიდისა და შალვა მუსასტიკოვის ნაყოფიერ საქმიანობასთან. მოგვიანებით გამოჩნდნენ ვლადიმერ სამარინი, მარგალიტა ტატიშვილი, ალექსანდრე საფრონოვი და სხვა დამსახურებული მწვრთნელები.

საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 2 აგვისტოს. 1992 წელს წყალბურთი გამოეყო ცალკე ფედერაციად, ხოლო 1996 წელს, შეიქმნა საწყლოსნო სპორტის სახეობათა (ცურვა, წყალბურთი, წყალში ხტომა) კონფედერაცია, შემდგომში ფედერაცია.

1992 წლის 24 ივლისიდან ცურვის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციისა (FINA) და ევროპის საწყლოსნო ლიგის (LEN) წევრია.

პრეზიდენტები: ბაკურ გულუა (1991-96), ვლადიმერ ისელიძე (წყალბურთის ფედერაციის 1992-96), ვლადიმერ გოიაშვილი (1996-04), გიორგი უდესიანი (2004 წლიდან).

შეჯიბრის წესები

შეჯიბრება სპორტულ ცურვაში იმართება 25- ან 50-მეტრიან აუზში. ოლიმპიადების მონაწილენი 50-მეტრიან აუზში ასპარეზობენ. აუზი დაყოფილია რვა 2,5 მ-ის სიგანის ბილიკად.

სპორტული ცურვის ძირითადი დისციპლინებია: კროლი 50, 100, 200, 400 მ (ქალები, კაცები), 800 მ (ქალები), 1500 მ (კაცები); გულაღმა 100, 200 მ (ქალები, კაცები); ბრასი 100, 200 მ (ქალები, კაცები); ბატერფლაი 100, 200 მ (ქალები, კაცები); კომპლექსური სტილი 200, 400 მ (ქალები, კაცები); ესტაფეტა კროლი 4X100, 4X200 მ (ქალები, კაცები); ესტაფეტა კომბინირებული 4X100 მ (ქალები, კაცები).



შეჯიბრებისას მოცურავეებს აცვიათ მოკლე გაუმჭირიი საცურაო კოსტიუმი, ნებადართულია საგანგებო სათვალითა და რეზინის ქუდით გამოსვლა. სპორტსმენს ცურვის უფლება მხოლოდ მისთვის გამოყოფილ ბილიკზე აქვს. ყველა დისციპლინაში გამომსვლელი (გარდა გულაღმა ცურვისა),

სტარტს იღებს ხმოვან სიგნალზე აუზის ბორტზე მოწყობილი სასტარტო ტუმბოდან წყალში გადახტომით. გულაღმა მოცურავენი სტარტის დროს წყალში არიან, თითოეული თავის ბილიკზე, პირისახით აუზის ბორტისკენ. ნებადართულია ბორტისთვის ან მოაჯირისთვის ხელის ჩავლება, ფეხების საყრდენად კი მხოლოდ აუზის კედლის წყალქვეშა ნაწილს იყენებენ. სასტარტო სიგნალისთანავე სპორტსმენები კედლიდან აირეკნიებიან და გულაღმა ცურვას იწყებენ.

კროლი. სპორტსმენს უფლება აქვს გამოიყენოს ნებისმიერი სტილი, გარდა ბრასის, ბატერფლაის და გულაღმა ცურვისა. ჩვეულებრივ, იყენებენ კროლს, როგორც ცურვის უსწრაფეს სტილს. სპორტსმენი წყლის ზედაპირზე წევს პირქვე და ჰორიზონტალურად, წინ კი ხელებისა და ფეხების ციკლური მოძრაობით გადაადგილდება. კლასიკური კროლის 1 ციკლი მოიცავს ორივე ხელის თითო მოსმას, ფეხების 6 დარტყმას, თითო ჩასუნთქვას და ამოსუნთქვას. ფეხები მოძრაობს მონაცვლეობით ვერტიკალურ სიბრტყეში ზევიდან ქვევით (მუშა მოძრაობა, დარტყმა) და ქვევიდან ზევით (მოსამზადებელი მოძრაობა). მოსმითი მოძრაობა იწყება იდაყვში ოდნავ მოხრილი ხელით და გრძელდება ასეთი თანამიმდევრობით: ხელის სწრაფად გატანა ჰაერში წინ, "წყლის ჩავლება" მტევნით და მოსმა ტანს ქვემოთ, საგიტალურ სიბრტყეში, რკალისებურად და ბარძაყის მიმართულებით.

ბრასი. ამ სტილით ცურვისას სპორტსმენი წყლის ზედაპირზე მკერდით წევს, ხელ-ფეხს ერთდროულად და სიმეტრიულად უსვამს. მკერდთან შეტყუპებულ ხელებს წინ გატყორცნის, შემდეგ გაშლის და მოუსვამს რკალისებურად შლის გვერდზე, ხელისგულით გარეთ, ხრის იდაყვის სახსარში და აერთებს პირისახის წინ. ფეხები იხრება მუხლის სახსარში და იშლება რკალისებურად სპორტსმენი ფეხებით ბიძგს აკეთებს. ამ ერთი მთლიანი ციკლის შესრულების შემდეგ მოცურავე თავს წყლიდან მაღლა ამოსწევს.

ბატერფლაი. ეს სტილი გარკვეულწილად ბრასის მსგავსია, რადგან მისი განვითარებული ვარიანტი და სახეცვლილებაა. ამ ტექნიკით ცურვისას სპორტსმენი მკერდით წყლის ზედაპირზე წევს, ხელ-ფეხს ერთდროულად

ოლიმპიური სპორტის სახეობები

და სიმეტრიულად ამოძრავებს ხელები ერთდროულად ამოაქვს წყლიდან, ჰაერში ჰაერში ნახევარწრეს შემოხაზავს და ისევ წყალში ჩაეშვება, სადაც კვლავ ერთდროულად მოხაზავს ნახევარ წრეს. ამ დროს ფეხები სინქრონულად მოძრაობს, ხელების მორიგეობით მოსმა აკრძალულია

გულაღმა ცურვა. ამ სტილით ცურვისას სპორტსმენი წყლის ზედაპირზე გულაღმა წევს და ჰორიზონტალურად გადაადგილდება წინ ხელებისა და ფეხების ციკლური მოძრაობით. ამ დროს პრაქტიკულად კროლის მსგავს ტექნიკას იყენებენ. წესების თანახმად, სპორტსმენს მხოლოდ მოხვევის დროს აქვს უფლება, გადმოტრიალდეს და წყალქვეშ "სალტო" გააკეთოს. გარდა ამისა, ნებადართულია სტარტისა და ყოველი მოხვევის შემდეგ 15 მეტრამდე მანძილის წყალქვეშ გაცურვა.

კომპლექსური ცურვა. ეს დისციპლინა გულისხმობს ინდივიდუალურ შეჯიბრებას დადგენილ დისტანციაზე, რომელიც უნდა გაცურონ ოთხი სხვადასხვა სტილით, შემდეგი თანამიმდევრობით — ბატერფლაი, გულაღმა ცურვა, ბრასი, კროლი.

ესტაფეტა. ამ დისციპლინაში შეჯიბრებისას ყოველი გუნდის თითოეულმა წევრმა დადგენილი დისტანცია ერთი რომელიმე სტილით უნდა გაცუროს. ამ შემთხვევაში თანამიმდევრობა ასეთია: გულაღმა ცურვა, ბრასი, ბატერფლაი, კროლი.

სპორტსმენს დისკვალიფიკაცია ეძლევა იმ შემთხვევაში, თუ ხელს შეუშლის მეტოქეს ცურვაში, დააგვიანებს სტარტზე გამოსვლას, ჩაიდენს არა სპორტულ საქციელს, არ დაემორჩილება მსაჯთა კოლექციის გადაწყვეტილებას, გაცურვის დროს შეეხება აუზის ფსკერს, გამოიყენებს დამხმარე საშუალებებს (მაგ: ფარფლებს). პირველივე ფალსტარტზე მოცურავე დისკვალიფიკაციით ისჯება.

ზამთრის ოლიმპიური სახეობები

ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა

ისტორია

ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა. ზამთრის სპორტის პოპულარული სახეობა, სათხილამურო ორჭიდის ერთ-ერთი დისციპლინა.

მსოფლიოს ჩემპიონატები იმართება 1929 წლიდან; მსოფლიოს თასის გათამაშება 1972-იდან. ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1924-იდან. ჩაისახა ნორვეგიაში XIX საუკუნის შუა წლებში. პირველი შეჯიბრებები მოეწყო ტელემარკის პროვინციის მთიანეთში. იქვეა რეგისტრირებული პირველი შედეგის 19 მ (1868). პირველი მხტომელები იყვნენ სამთომოთხილამურეები, რომლებიც მთიდან დაშვებისას ბუნებრივი ბორცვებიდან ხტებოდნენ (მოგვიანებით ბორცვები ხელოვნურმა მიწაყრილებმა შეცვალა). სპორტის დამოუკიდებელ სახეობად ჩამოყალიბდა XX საუკუნის დასაწყისში, როცა ჯერ ნორვეგიაში,

შემდგომ კი ევროპის სხვა ქვეყნებშიც, დაიწყო ხისა და ლითონკონსტრუქციების ტრამპლინების აგება და ოფიციალური ტურნირების გამართვა. უძველესი და პოპულარული საერთაშორისო შეჯიბრებაა ჩრდილოეთის თამაშები, რომელიც ტარდება 1901 წლიდან. სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ 1920-იანი წლების მთავარ შეჯიბრებათა პროგრამაში ტრამპლინიდან ხტომა შეიტანა, სოკმა კი მას ოლიმპიური სახეობის სტატუსი მიანიჭა. იმ პერიოდის ტურნირებში ბადალი არ ჰყავდათ ნორვეგიელებს, რომლებიც განსაკუთრებული



ოლიმპიური სპორტის სახეობები

ტექნიკით გამოირჩეოდნენ. სათხილამურო ინვენტარის ევოლუციამ, მწვრთნელთა და მეცნიერთა მრავალწლიანმა კვლევა-ძიებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ხტომის სტილი, რომელიც გაცილებით ეკონომიური, აეროდინამიკური და ეფექტური გახდა. 1945 წელს შემოიღეს ახალი წესები სპორტსმენის შეფასებისას ნახტომის სიგრძესთან ერთად ითვალისწინებენ ხტომის სტილს, კოორდინაციის უნარს, ფრენისა და დაშვების ტექნიკას. ადრინდელი შეჯიბრებები 50- და 70-მეტრიან ტრამპლინებზე იმართებოდა, შემდეგ 90- და 120-მეტრიანზე. ოფიციალურ ტურნირებში მხოლოდ კაცები მონაწილეობენ. ტრამპლინიდან ხტომა ზამთრის ყველა ოლიმპიადის პროგრამაში იყო. I თამაშებში (1924, შამონი) ჩემპიონობა მოიპოვა ნორვეგიელმა იაკობ ტულინ-ტამსმა (ასპარეზობაში მონაწილეობდა 9 ქვეყნის 27 სპორტსმენი). მომდევნო ხუთ თამაშებშიც ნორვეგიელებმა გაიმარჯვეს. 1924 წლიდან ოლიმპიური შეჯიბრებები საშუალო (70 მ) ტრამპლინზე ტარდებოდა, 1964-იდან დიდ (90 მ) ტრამპლინზე. 1992 წლიდან წესები არსებითად შეიცვალა. მას შემდეგ თამაშდება მედლების სამი კომპლექტი: 90- და 120-მეტრიან ტრამპლინზე პირად ჩათვლაში, 120-მეტრიანზე გუნდურში.

თხილამურობის საერთაშორისო ფედერაცია (Federation Internationale de Ski – FIS) დაარსდა 1924 წლის 2 თებერვალს შამონიში (საფრანგეთი). დამფუძნებელი ქვეყნები: ავსტრია, აშშ, დიდი ბრიანეთი, იტალია, იუგოსლავია, ნორვეგია, პოლონეთი, რუმინეთი, საფრანგეთი, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, შვეიცარია და ჩეხოსლოვაკია. აერთიანებს 101 ქვეყნის ფედერაციას.

ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა საქართველოში

საქართველოში ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომის ისტორია იწყება 1935 წლიდან, როცა ბაკურიანში დამთავრდა პირველი 40-მეტრიანი ტრამპლინის მშენებლობა და რესპუბლიკური შეჯიბრების პროგრამაში ხტომებიც შეიტანეს. მაშინ ყველას აჯობა იმ დროისთვის უკვე ცნობილმა ალპინისტმა და სამთო-სათხლამურო საქმის ორგანიზატორმა ალექსანდრე (სანდრო) გვალაიამ. მოგვიანებით ბაკურიანს შეემატა 45-, 70- და 90-მეტრიანი ტრამპლინები, გახშირდა შეჯიბრებები, რამაც განაპირობა საქართველოს მხტომელთა წარმატებები საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. სპორტის ამ სახეობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია “მფრინავ ტორპედოდ” მონათლულ კობა წაქაძესსსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონს, ათამდე საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულს, ოთხი ოლიმპიური თამაშების მონაწილეს. წაქაძე თითქმის 20 წლის განმავლობაში გამოდიოდა დიდ ასპარეზზე, გამოირჩეოდა სტაბილური შედეგებით და ხტომის დახვეწილი მანერით. 1960-იან წლებში არაერთ საკავშირო შეჯიბრებაში გაიმარჯვა ასევე ბაკურიანელმა მხტომელმა მიხეილ გავამ (მისი საუკეთესო შედეგია სსრკ ხალხთა ზამთრის სპარტაკიადის ჩემპიონობა). დამოუკიდებელი საქართველოს სახელით სამ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა კახა წაქაძე (კობა წაქაძის ვაჟი).

შეჯიბრის წესები

საერთაშორისო შეჯიბრებები ტარდება სამ დისციპლინაში: ინდივიდუალური ხტომები 90- და 120-მეტრიანი ტრამპლინიდან და გუნდური ასპარეზობა 120-მეტრიან ტრამპლინზე. ტრამპლინის ნომინალური სიმაღლე განისაზღვრება ნახტომის სავარაუდო ოპტიმალური სიგრძით. იგულისხმება მანძილი ასახტომი ბაქნის კიდიდან მიწაზე დაშვების წერტილამდე. ეს დისტანცია სასინჯი ხტომების დროს დგინდება. დაშვების ბილიკზე ეს ადგილი აღნიშნულია თოვლზე გავლებული ცისფერი ზოლით და “ნორმის” წერტილი ეწოდება. ასეთივე, ოღონდ წითელი ფერის ზოლით არის აღნიშნული “კრიტიკული”, ანუ “K” წერტილი ადგილი, სადაც ჯერ კიდევ უსაფრთხოა მიწაზე დაშვება. ეს არის იდეალური, თეორიულად მაქსიმალურად შესაძლებელი ნახტომის დაშვების წერტილი (120-მეტრიან ტრამპლინზე დისტანცია ჰაერში აფრენის წერტილიდან “კრიტიკულ” წერტილამდე შეიძლება იყოს დაახლოებით 180 მ). ტრამპლინიდან ხტომისათვის განკუთვნილი თხილამურები ყველა სხვა სპორტულ თხილამურზე გრძელი და ფართოა მაქსიმალური სიგრძე სპორტსმენის სიმაღლეს შეიძლება სჭარბობდეს არაუმეტეს 80 სმ-ით, მაქსიმალური წონა 7,27 კგ. სათხილამურო ჯოხების გამოყენება აკრძალულია. სპორტსმენს აცვია სინთეტიკური ქსოვილისგან დამზადებული, აეროდინამიკური კომბინეზონი, ხელთათმანები, ახურავს ჩაფხუტი, უკეთია დამცავი სათვალე. სრულდება 2-2 ნახტომი. პირველი ცდისას მონაწილეთა რიგითობა კენჭისყრით განისაზღვრება. მეორე ცდაზე პირველები ხტებიან ის სპორტსმენები, რომლებმაც უარესი შედეგი

ოლიმპიური სპორტის სახეობები

აჩვენეს. სასტარტო ბაქნიდან დაშვებისას მხტომელს ფეხები მუხლებში ჩახრილი აქვს, თავი მაღლა აწეული, იდაყვებში ოდნავ მოხრილი ხელები თავისუფლად უჭირავს წინ, ტანის სიმძიმე ორივე ფეხზე თანაბრად არის განაწილებული. ასახტომ ბაქნას რომ მიუახლოვდება, მოთხილამურე მძლავრი არეკნით ტრამპლინის მოსწყდება და ჰაერში მიფრინავს. ფრენის დროს, მიწაზე დაშვებამდე სპორტსმენს თხილამურები ჰორიზონტალურად და ერთმანეთის პარალელურად უჭირავს, სხეული – სწორად, გაჭიმული, ხელების მოძრაობა მკაცრად კონტროლდება. მიწაზე დახტომისას ცალი ფეხი ოდნავ წინ წაწეულია, სხეულიც წინ არის წახრილი, ხელები კი, წონასწორობის შესანარჩუნებლად განზეა გაშლილი. შეჯიბრებას სჯის ხუთი მსაჯი. ნახტომი ფასდება 2 პარამეტრის – სტილისა და სიგრძის მიხედვით. ყურადღება ექცევა ნახტომის სიზუსტეს, სხეულის ფლობის უნარს, სპორტსმენისა და თხილამურების პოზიციას ჰაერში და მიწაზე დაშვების მომენტში. ნახტომის სტილისთვის სპორტსმენს ეძლევა არაუმეტეს 20 ქულისა. ნებისმიერი შეცდომა ქულათა რაოდენობას ამცირებს. ნახტომის სიგრძის მიხედვით ქულები ნაწილდება შემდეგნაირად: სპორტსმენი, რომელიც “კრიტიკულ” წერტილს მიაღწევს, იღებს 60 ქულას. მაქსიმუმზე დაბალი შედეგის ჩვენებისას 90-მეტრიან ტრამპლინზე ყოველ მეტრზე აკლდება 2 ქულა, 120-მეტრიანზე 1,8. ნახტომის სტილსა და სიგრძეში მიღებული ქულები ჯამდება. გამარჯვებულად ცხადდება სპორტსმენი, რომელიც ორი ცდის შედეგად ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს

სნოუბორდი

ისტორია

სნოუბორდი (ინგლ. Snowboard სიტყვასიტყვ. თოვლის ფიცარი). ზამთრის სპორტის სახეობა, რომელშიც შედის ორი დისციპლინა: სლალომი დათოვლილ ფერდობზე განიერი, არშიიანი თხილამურით (სნოუბორდი) და ე.წ. ჰაფ-პაიფი (ინგლ. Halfpipe ნახევარმილი) დაშვება ნახევარცილინდრულ ღარში აკრობატული ელემენტების შესრულებით.



მსოფლიოს ჩემპიონატი იმართება 1996 წლიდან; ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1998-იდან.

პირველი სნოუბორდი გამოიგონა ამერიკელმა ჯეკ ბარჩეტმა 1929 წელს, ამ სახეობისთვის თანამედროვე ტიპის თხილამური კი ამერიკის შეერთებულ შტატებში XX საუკუნის 60-იან წლებში შეიქმნა. 1963 წელს ტომ სიმსმა, 1965 წელს კი შერმან პოპენმა თხილამურის საკუთარი ვარიანტები დაამზადეს. სიმსმა მას “Ski Board” უწოდა, პოპენმა კი “Snurfer”. პირველი შეჯიბრება პოპენმა ჩაატარა.

სნოუბორდის ისტორიაში ახალი ეტაპი დადგა 1970 წელს, როდესაც დიმიტრი მალკოვიჩმა (აშშ) დაიწყო თხილამურების გამოშვება “Winterstik”-

ის სახელწოდებით. შემდეგ სარბიელზე გამოჩნდა ჯეიკ

ბარტონ კარპენტერი. იგი სნოუბორდებს ამზადებდა როგორც ხისგან, ისე ფიბერგლასისგან. 1980-იანი წლების დასაწყისში სნოუბორდინგი ფართოდ გავრცელდა ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებსა და ევროპაში, შემდგომ კი ზამთრის სპორტის პოპულარულ სახეობად იქცა. 1982 წელს ვერმონტის შტატში (აშშ) გაიმართა პირველი საერთაშორისო ტურნირი. 1985 წელს გამოვიდა სნოუბორდისტების პირველი ჟურნალი, რომელსაც თავიდან ეწოდებოდა “Absolute Radical”, შემდეგ კი დაერქვა “International Snowboarding Magazine”. 1995 წელს თხილამურობის საერთაშორისო ფედერაციაში შეიქმნა სნოუბორდის ტექნიკური კომიტეტი.

სნოუბორდის ოლიმპიური დებიუტი 1998 წელს შედგა ნაგანოში. პროგრამაში იყო გიგანტური სლალომი და ჰაფ-პაიფი. კაცებში გაიმარჯვეს შვეიცარიელმა ჟან სიმენმა და კანადელმა როს რებალატიმ, ქალებში გერმანელმა

ოლიმპიური სპორტის სახეობები

ნიკოლა ტოსტა და ფრანგმა კარინ რუბიმ. სოლტ-ლეიკ-სიტიში სლალომი პარალელური გიგანტური სლალომით შეიცვალა. ორი ოქროს მედალი მოიპოვეს აშშ-ის, თითო შვეიცარიისა და საფრანგეთის სპორტსმენებმა.

თხილამურობის საერთაშორისო ფედერაცია (*Federation Internationale de Ski – FIS*) დაარსდა 1924 წლის 2 თებერვალს შამონიში (საფრანგეთი). დამფუძნებელი ქვეყნები: ავსტრია, აშშ, დიდი ბრიანეთი, იტალია, იუგოსლავია, ნორვეგია, პოლონეთი, რუმინეთი, საფრანგეთი, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, შვეიცარია და ჩეხოსლოვაკია. აერთიანებს 101 ქვეყნის ფედერაციას.

სნოუბორდი საქართველოში

საქართველოში სნოუბორდით პირველად დაინტერესდნენ 1980-იანი წლების მიწურულს, როცა უცხოელმა ტურისტებმა გუდაურის ფერდობებზე საჩვენებელი დაშვება მოაწყვეს. მამუკა და პალიკო ბურდულების თაოსნობით ჩამოყალიბდა სნოუბორდის პირველი კლუბი, 1992 წელს კი გუდაურში გაიმართა საქართველოს პირველი ღია ჩემპიონატი სლალომში, რომელშიც მასპინძლებთან ერთად მონაწილეობდნენ გერმანელი, შვეიცარიელი, ავსტრიელი და უკრაინელი სნოუბორდისტები. გაიმარჯვეს მამუკა ბურდულმა და ნანა გველებიანმა. მომდევნო ჩემპიონატი მხოლოდ 10 წლის შემდეგ, 2002 წელს ჩატარდა. ამჯერად პროგრამაში იყო ორი დისციპლინა – სლალომი და გიგანტური სლალომი. ამ შეჯიბრების შემდეგ საქართველოში სნოუბორდის მიმდევართა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

საქართველოს სნოუბორდისტთა ფედერაცია. დაფუძნდა 1992 წლის მაისში. 1993 წლიდან სნოუბორდის საერთაშორისო ასოციაციის (*ISA*) და სნოუბორდის საერთაშორისო ფედერაციის (*ISF*) წევრია. პრეზიდენტები: ზურაბ ბურდული (1992-96), მამუკა ბურდული (1997 წლიდან).

შეჯიბრის წესები

სნოუბორდი ჰქვია ფართო თხილამურს, რომელზეც სპორტსმენი ორივე ფეხით დგას. ფეხსაცმლის სამაგრები მასზე გარდიგარდმოა განლაგებული. დაშვებისას სათხილამურო ჯოხებს არ იყენებენ. ფრისტილის, ანუ აკრობატული სნოუბორდის სიგრძეა 134-158 სმ, სიგანე 24 სმ, სწრაფდაშვებისთვის განკუთვნილისა კი 145-175 სმ და 18-20 სმ. რაც უფრო ვიწროა სნოუბორდი, მით უფრო სწრაფად მოძრაობს და უფრო დამყოლია მოხვევისას. ფრისტილის სნოუბორდზე მაგრდება ელასტიკური ფეხსაცმელი, სწრაფდაშვებისთვის განკუთვნილზე კი ხისტი. სარბიელზე გამოსვლისას სპორტსმენისთვის სავალდებულო აღჭურვილობაა ჩაფხუტი, დამცავი სათვალე, ხელთათმანები და სამუხლეები.

ფრისტილი, ანუ აკრობატული სნოუბორდინგი იმართება ე. წ. ჰაფ-ფაიფში, ნახევარცილინდრულ, შუაზე გადაჭრილი მილის ფორმის ღარში, რომლის სიგრძეა 100-120 მ, სიგანე 13-17 მ, კედლების სიმაღლე 3-4 მ, დახრილობის კუთხე 18°. სპორტსმენი ღარში ეშვება აკრობატული ელემენტების (ბტომების, სალტოების, ჰაერში ტრიალის) შესრულებით. გამოსვლას აფასებს 6 მსაჯი, მაქსიმალური შეფასებაა 10 ქულა.

სწრაფდაშვება მოიცავს სამ ძირითად დისციპლინას: პარალელურ სლალომს, სუპერგიგანტურ სლალომსა და ბორდეროსს. პარალელურ სლალომში შეჯიბრება ეწყობა თოვლით დაფარულ ციცაბო ფერდობზე, რომლის სიმაღლეთა სხვაობაა 80-150 მ. ფერდობზე ორი პარალელური ტრასაა მოწყობილი. თითოეულზე აღმნიშნულია ერთმანეთისგან 7-12 მეტრით დაშორებული 20-20 სლალომის კარი, რომლებიც სპორტსმენმა უნდა გაიაროს. ეწყობა ორი საკვალიფიკაციო და ერთი ფინალური დაშვება. გიგანტური სლალომი იმართება ფერდობზე, რომლის სიმაღლეთა სხვაობაა 150-300 მ. კარი შედგება ორი ერთმანეთთან დაკავშირებული ჯოხისგან, მათ შორის კი სამკუთხა წითელი ნაჭერია გაჭიმული. გარე, მაღალი ჯოხის სიმაღლეა 180 სმ, მანძილი ჯოხებს შორის 130 სმ. ტარდება საკვალიფიკაციო და ფინალური დაშვება. ფინალში ტრასაზე პირველები გამოდიან საკვალიფიკაციო შეჯიბრებაში ბოლო ადგილები ადგილზე დარჩენილი სპორტსმენები. იმარჯვებს ის, ვინც ორივე დაშვების ჯამში საუკეთესო დროს აჩვენებს. სუპერგიგანტური სლალომი ტარდება ფერდობზე, რომლის სიმაღლეთა სხვაობაა 300-500 მ. კარების რაოდენობა განსაზღვრული არ არის და დამოკიდებულია ტრასის სირთულეზე. ბორდეროსი

ოლიმპიური სპორტის სახეობები

იმართება ფერდობზე, რომელზეც ბევრი ბორცვი და უსწორმასწორო ადგილია. დაშვებაში ერთდროულად მონაწილეობს 6 სპორტსმენი, კაცები და ქალები ერთად ასპარეზობენ.

ციგაობა

ისტორია

ციგაობა. ზამთრის სპორტის სახეობა, სწრაფდაშვება სპეციალურ ყინულოვან ტრასაზე ერთი და ორადგილიანი სპორტული ციგებით.

ევროპის ჩემპიონატი იმართება 1914 წლიდან, მსოფლიოს ჩემპიონატი 1955-იდან; ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1964-იდან.

ლიტერატურულ წყაროებში ციგა მოიხსენიება შუა საუკუნეებიდან, ხოლო ცნობები მოციგავეთა პირველი შეჯიბრებების შესახებ XIX საუკუნის შუა ხანებს განეკუთვნება. თანამედროვე სპორტული ციგების, მათ შორის სკელეტონის წინამორბედად მიიჩნევენ ნორვეგიულ ციგას აკეს და კანადელ ინდიელებში გავრცელებულ უთავკავო ციგას ტობოგანს. პირველი, შედარებით თანამედროვე სპორტული ციგა დაამზადეს 1889 წელს გერმანიაში, ერთი წლის შემდეგ კი ინსბრუკის (ავსტრია) აკადემიური ალპური კლუბის ინიციატივით მოეწყო მოციგავეთა პირველი წარმომადგენლობითი ოფიციალური ასპარეზობაც. მოგვიანებით ციგაობა



გავრცელდა ევროპის თხუთმეტამდე ქვეყანაში, აშშ-სა და კანადაში, სადაც ბუნებრივი პირობები მისი განვითარების საშუალებას იძლეოდა. 1924 წლიდან საქმეს სათავეში ჩაუდგა ბობსლეისა და ტობოგანის საერთაშორისო ფედერაციის ციგაობის განყოფილება, რომელიც ადგენდა შეჯიბრების წესებს, მართავდა საერთაშორისო ტურნირებს, ხელს უწყობდა ამ სახეობის შემდგომ გავრცელებას. 1957 წელს განხორციელებულ ორგანიზაციულ ცვლილებებს მოჰყვა ციგაობის დამოუკიდებელი საერთაშორისო ფედერაციის დაფუძნება.

სოკმა ციგაობა ოლიმპიურ სახეობად 1954 წელს აღიარა, უშუალოდ თამაშების პროგრამაში კი 1964 წელს (ინსბრუკი) ჩართო. კაცები ასპარეზობდნენ ერთ- და ორადგილიანი ციგებით, ქალები ერთადგილიანით (ეს სისტემა დღემდე არ შეცვლილა). ერთადგილიანებში პირველი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ გაერთიანებული გერმანიის წარმომადგენლები თომას კელერი და ორტრუნ ენდერლანი, ორადგილიანებში საუკეთესო იყო ავსტრიელთა ეკიპაჟი (იოზეფ ფაის-მანტალი, მანფრედ შტენგელი). კაცებში 3 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი აქვს მოპოვებული გერმანელ გეორგ ჰაკელს, ქალებში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია შტეფი ვალტერ-მარტინი (ყოფილი გდრ).

*ციგაობის საერთაშორისო ფედერაცია (Federation Internationale de Luge de Course -FIL)
დაარსდა 1957 წლის 25 იანვარს დავოსში (შვეიცარია) 13 ქვეყნის ფედერაციის მიერ. ამჟამად
აერთიანებს 49 ქვეყნის ფედერაციას.*

ციგაობა საქართველოში

საქართველოში ციგაობა, როგორც სპორტის სახეობა, 1960-იანი წლების მიწურულს გავრცელდა. 1968 წელს ქვიშხეთელმა მოციგავებმა (ტარიელ ყაზიშვილი, ომარ ჩაჩანიძე, თემურ ქურდაძე, რამაზ ლომიძე) პირველად მიიღეს მონაწილეობა ლენინგრადში გამართულ შეჯიბრებაში, მომდევნო წელს კი დავით ღონღაძესთან, ზაურ ჩადუნელთან და ვალერიან სუთიშვილთან ერთად ცესიში (ლატვია) გამართულ სსრკ ჩემპიონატში გამოვიდნენ. 1970 წელს ბაკურიანში გაიხსნა ციგაობის პირველი სპორტული ჯგუფი ალექსანდრე ქუმარიტაშვილის ხელმძღვანელობით, კობტაგორის ფერდობზე მოეწყო მარტივი ტიპის 25-მეტრიანი ტრასა. საქართველოს პირველი

ოლიმპიური სპორტის სახეობები

ოფიციალური ჩემპიონატი გაიმართა ბაკურიანში 1972 წელს. გაიმარჯვეს ელგუჯა გვარამაძემ და ქეთევან თვაურმა. კაცთა შორის პირველი სპორტის ოსტატი იყო ფელიქს ქუმარიტაშვილი, ქალებში ქეთევან ჯეირანაშვილი. 1974 წელს ბაკურიანში აიგო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საციგაო ტრასა, სადაც ჩატარდა შეჯიბრებები სსრკ ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის პროგრამით. ორადგილიანი ციგით III ადგილზე გავიდნენ გიორგი უგრელიძე და რამაზ გურუშვიდი. 1989 წელს ინსბრუკში გამართულ ევროპის პირველობაში II ადგილი დაიკავეს კახა ვახტანგიშვილმა და ლევან თიბილოვმა (ორადგილიანი ციგა). 1991 წელს მათ სსრკ ჩემპიონატი მოიგეს. ამ წყვილმა 1994 წელს ლილექამერის ზამთრის XVII ოლიმპიურ თამაშებში მე-17 ადგილი დაიკავა.

საქართველოს ციგაობის ფედერაცია. დაფუძნდა 2000 წელს. იმავე წლიდან ციგაობის საერთაშორისო ფედერაციის (FIL) წევრია. პრეზიდენტი: ფელიქს ქუმარიტაშვილი (2000 წლიდან).

შეჯიბრის წესები

შეჯიბრება ეწყობა თხელი ყინულით დაფარულ ბუნებრივ ან ხელოვნურ ტრასაზე, რომლის მაქსიმალური სიგრძეა 1500 მ. კაცების ინდივიდუალური შეჯიბრება იმართება 1000-1300, წყვილებისა და ქალთა ერთეულებისა კი 800-1050 მეტრზე. ტრასაზე უნდა იყოს სწორი მონაკვეთები და მოსახვევები: მარცხენა, მარჯვენა, ზოგზაგური და 180-გრადუსიანი. სარბიელზე გამოსვლა შეიძლება ნებისმიერი სახის ციგით, რომელიც აკმაყოფილებს წესებით დადგენილ კრიტერიუმებს: უნდა იყოს ერთადგილიანი ან ორადგილიანი, ჰქონდეს თითო წყვილი თავკავი, ამასთან თავკავების შიდა წახნაგებს შორის მანძილი 45 სმ-ს არ აღემატებოდეს. ერთადგილიანის წონა არ უნდა იყოს 23 კგ-ზე, ორადგილიანისა კი 27 კგ-ზე მეტი. ყოველი რბოლის წინ ამოწმებენ ციგის თავკავების ტემპერატურას (მათი ხელოვნურად გაცხელება აკრძალულია). ფინიშის შემდეგ ციგას წონიან. სპორტსმენებს აცვიათ აეროდინამიკური კომბინეზონები და ასეთივე ტიპის ფეხსაცმელი, აუცილებელია დამცავი ჩაფხუტი.

საერთაშორისო ტურნირებში იმართება ინდივიდუალური (კაცები, ქალები) და წყვილთა (კაცები) რბოლები. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში შემოღებულია გუნდური ჩათვლა. შეჯიბრებისას სპორტსმენი ციგაზე წევს გულადმა, ოდნავ თავწამოწეული, რათა ტრასას კარგად ხედავდეს. ციგის მოძრაობის მიმართულების შესაცვლელად მოციგავე სხეულის წონას იმ მხარეს გადაანაცვლებს, საითაც უნდა მოუხვიოს. ინდივიდუალური რბოლის დროს ტრასაზე მხოლოდ ერთი სპორტსმენი გამოდის. როგორც კიტ რასა გათავისუფლდება, გაისმის იმის მაუწყებელი სიგნალი, რომ მომდევნო სპორტსმენს სტარტზე 30 წამი რჩება. წყვილთა შეჯიბრებაში მოციგავეებს ამისთვის 45 წამი ეძლევათ. თითოეულმა მონაწილემ ტრასა 4-ჯერ უნდა გაიაროს. გამარჯვებულად ცხადდება სპორტსმენი, რომელიც 4 ცდის შედეგად საუკეთესო დროს აჩვენებს.

სამთო თხილამურობა

ისტორია

სამთო თხილამურობა. ზამთრის სპორტის პოპულარული სახეობა, მთიდან თხილამურებით დაშვება სპეციალურ, კარებმონიშნულ ტრასაზე. შეიცავს ხუთ დისციპლინას: სლალომს, გიგანტურ სლალომს, სუპერგიგანტურ სლალომს, სწრაფდაშვებას და კომბინაციას, ანუ ალპურ ორჭიდს.

მსოფლიოს ჩემპიონატი იმართება 1931 წლიდან, მსოფლიოს თასის გათამაშება – 1966-იდან; ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1936-იდან.

სამთო თხილამურობა, როგორც სპორტის სახეობა, ნორვეგიაში აღმოცენდა. ნორვეგიული წარმოშობისაა სიტყვა “სლალომი” (“ჩამომავალი კვალი”, “კვალი ფერდობზე”). ნორვეგიელები ძველთაგანვე სლალომის ოსტატებად ითვლებოდნენ. ისინი თხილამურებით ეშვებოდნენ ჰოლმენკოლენის მთის კალთებიდან, ამასთან, ფერდობზე მოხვევისა და დამუხრუჭებისას მარჯვედ იყენებდნენ ცალ ჯოხს. XIX საუკუნის დამლევს ნორვეგიაში მოეწყო პირველი შეჯიბრება ქრისტიანიის (ახლანდელი ოსლოს) და ტელემარკის სამთომთხილამურეთა შორის. როგორც მაშინდელი პრესა იუწყებოდა, ტელემარკელები ეშვებოდნენ წელში გამართულნი, ჯოხის ნაცვლად ხელში

ოლიმპიური სპორტის სახეობები

ეჭირათ ნაძვის ტოტი, მთის ძირში ეფექტურად მოუხვევდნენ და ჩერდებოდნენ. მოგვიანებით, XX საუკუნის პირველ მეოთხედში, შემოვიდა მოხვევის უფრო სრულყოფილი ტექნიკა პარალელური თხილამურებით.

სამთომოთხილამურეთა პირველი საერთაშორისო შეჯიბრება გაიმართა 1911 წელს მონტანაში (შვეიცარია). 1922 წელს შემუშავდა სლალომისა და სწრაფდაშვების პირველი ოფიციალური წესები, 1931 წელს თხილამურობის საერთაშორისო ფედერაციაში (ფის) შეიქმნა სამთო თხილამურობის ტექნიკური კომიტეტი და იმავე წელს მიურენში (შვეიცარია) პირველი მსოფლიოს ჩემპიონატიც გაიმართა. პროგრამაში შეიტანეს სლალომი და სწრაფდაშვება (კაცები, ქალები). ზამთრის სპორტის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, სამთო თხილამურობაში კაცთა და ქალთა დისციპლინები ყოველთვის იდენტური იყო და თანაბრად ვითარდებოდა. ეს პროცესი საგრძნობლად დააჩქარა ტექნიკურმა პროგრესმა, საბაგირო გზების ინტენსიურმა მშენებლობამ და სამთო-სათხილამურო ცენტრების შექმნამ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ავსტრიაში, შვეიცარიაში, სკანდინავიის ქვეყნებში, საფრანგეთში, იტალიაში, იაპონიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვაგან. 1960-იანი წლებიდან მოყოლებული, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებად იქცა მსოფლიოს თასის გათამაშება, რომელიც რამდენიმე ეტაპისგან შედგება და მთელი სეზონის განმავლობაში (დეკემბერი მარტი) გრძელდება. 1987 წლიდან საბოლოოდ ჩამოყალიბდა საერთაშორისო შეჯიბრებათა პროგრამა, რომელსაც მეხუთე დისციპლინა – სუპერგიგანტური სლალომი დაემატა. სპეციალიზაციის მიხედვით, სამთომოთხილამურეები სამ ძირითად ჯგუფად იყოფიან: სლალომისტებად, ჩქაროსნებად და უნივერსალებად.



სამთომოთხილამურეები ოლიმპიურ თამაშებზე პირველად გამოჩნდნენ 1936 წელს გარმიშ-პარტენკირჰენში (ალპური ორჭიდი). კაცებში პირველი ოქროს მედალი მოიპოვა გერმანელმა ფრანკ პნურმა, ქალებში მისმა თანამემამულემ, კრისტლ კრანცმა. მომდევნო თამაშებში (1948, სანქტ-მორიცი) მედლების 6 კომპლექტი განაწილდა. ყველაზე უკეთ იასპარეხეს შვეიცარიელებმა (2 ოქრო, 2 ვერცხლი, 2 ბრინჯაო). 1952, 56, 60 და 64 წლების თამაშებში ლიდერობდნენ ავსტრიელები, რომელთა შორის გამოირჩეოდა ანტონ ზაილერი. მან კორტინა დ'ამპეცოში (1956) სამივე დისციპლინა მოიგო და პირველი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. 1968 წელს გრენობლში ზაილერის მიღწევა გაიმეორა ფრანგმა ჟან-კლოდ კილიმ. საუკეთესო გუნდური შედეგიც ფრანგებს მოიპოვეს. მომდევნო თამაშებში უმთავრესად იმარჯვებდნენ შვეიცარიელი, ავსტრიელი, იტალიელი და ამერიკელი სამთომოთხილამურეები. ორ ოლიმპიადაზე 3 ოქროს მედალი მოიპოვეს ალბერტო ტომბამ (იტალია), სოლტ-ლეიკ-სიტიში (2002) კი ქალთა ყველა რეკორდი მოხსნა ხორვატმა იანიცა კოსტელიჩმა – 3 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი.

თხილამურობის საერთაშორისო ფედერაცია (Federation Internationale de Ski – FIS) დაარსდა 1924 წლის 2 თებერვალს შამონიში (საფრანგეთი). დამფუძნებელი ქვეყნები: ავსტრია, აშშ, დიდი ბრიანეთი, იტალია, იუგოსლავია, ნორვეგია, პოლონეთი, რუმინეთი, საფრანგეთი, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, შვეიცარია და ჩეხოსლოვაკია. აერთიანებს 101 ქვეყნის ფედერაციას.

სამთო თხილამურობა საქართველოში

საქართველოში სამთო თხილამურობა განვითარდა 1930-იანი წლიდან, როცა ჩამოყალიბდა პირველი სათხილამურო სექცია და კავკასიონზე მოეწყო სამთო-სათხილამურო ლაშქრობა (1931). ამ საქმეს სათავეში ედგნენ გიტო გიორგაძე, ალექსანდრე გვალია, გიორგი ბაქრაძე, ვიქტორ მალოვიჩკო. მთიდან დაშვებაში პირველი შეჯიბრება გაიმართა ბაკურიანში 1934 წელს. გაიმარჯვა თბილისელმა გაიოზ კანდელაკმა. მომდევნო წელს ჩატარებულ საქართველოს პირველ ჩემპიონატში სამთო სახეობები მოიგო ალექსანდრე გვალიამ. პირველი სპორტის ოსტატი გახდა ბაკურიანელი ლევან (ლალა) ფანჯიკიძე (1940). საკავშირო შეჯიბრებებში წარმატებით გამოდიოდნენ მიხეილ გავა, ნიკოლოზ მიქაბერიძე, იბრაჰიმ ჯანგოზეკოვი, ლიანა გოგოლაძე, ნათელა ფალიანი,

ოლიმპიური სპორტის სახეობები

ბორის კახიანი და სხვები. 1994-2002 წლებში ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა საქართველოს 4 სამთო მოთხილამურე – ზურაბ ჯიჯიშვილი, სოფიკო ახმეტელი, ლევან აბრამიშვილი და რობერტ მახარაშვილი. მათგან საუკეთესო იყო ჯიჯიშვილი, რომელმაც 1998 წელს ნაგანოს თამაშებზე სამთო კომბინაციაში XIV ადგილი დაიკავა.

საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაცია. დაფუძნდა 1991 წლის 31 მაისს. 1992 წლიდან სპორტის ზამთრის სახეობათა შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციების წევრია. პრეზიდენტები: იგორ ჩხეიძე (1991-1992), სოლიკო ხაბეიშვილი (1992-95), ზეზუა ლულუნიშვილი (1995-96), გიორგი თოფაძე (1996 წლიდან).

შეჯიბრის წესები

სამთო თხილამურობა შეიცავს რამდენიმე დისციპლინას: სწრაფდაშვებას, სლალომს, გიგანტურ სლალომს და სუპერგიგანტურ სლალომს. ასპარეზობა იმართება აგრეთვე სამთო-სათხილამურო ორჭიდში, რომელიც შედგება სწრაფდაშვებისა და სლალომისაგან. შეჯიბრება ტარდება პირად და გუნდურ ჩათვლაში.

სწრაფდაშვების ტრასა მოწყობილია სწორ, დამრეც ფერდობზე, რომელზეც არ არის შესამჩნევი უსწორმასწორო ადგილები. ტრასის სიგრძეა 3-6 კმ, სიმაღლეთა სხვაობა: კაცებისთვის 800-1000 მ, ქალებისთვის 500-700 მ, სიგანე სულ მცირე 30 მ. ტრასა მარცხენა მხრეს მონიშნულია წითელი ალმებით, მარჯვენა მხარეს მწვანით, განსაკუთრებით სახიფათო ადგილები კი ყვითლით. ტრასა ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ ქალებს მის გასავლელად სჭირდებოდეთ საშუალოდ 1,5 წთ, კაცებს 2 წთ. ტრასის მოსახვევებში დგას საკონტროლო კარები, რომელთა შორის მანძილი 8 მ მაინც უნდა იყოს. კარის მოვალეობას ასრულებს მიწაში ჩარჭობილი ორ-ორი სათხილამურო ჯოხი, რომელთა შორის გაჭიმულია მართკუთხა ფორმის ქსოვილი. კაცთა ტრასაზე ქსოვილი წითელი ფერისაა, ქალთა ტრასაზე კი – ცისფერ-წითელი. სწრაფდაშვების თხილამურის სიგრძეა 208-215 სმ. მოთხილამურე სათვალით, ჩაფხუტით, წვივსაფრითა და საგანგებო სამთო-სათხილამურო ფეხსაცმლით ასპარეზობს. შეჯიბრების მონაწილენი ტრასაზე დაახლოებით 120 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებენ. იმარჯვებს ის, ვინც ყველაზე სწრაფად გაივლის დისტანციას.

სლალომის ტრასას აწყობენ თოვლიან ფერდობზე, რომლის დახრილობა 20-27 გრადუსს შეადგენს. სიმაღლეთა სხვაობა: კაცებისთვის – 180-220 მ, ქალებისთვის – 130-180 მ, ტრასის მინიმალური სიგანე – 40მ. მოთხილამურეებს მოძრაობის მიმართულების მკვეთრი ცვლა და ზიგზაგით დაშვება უხდებათ. სლალომის კარს ქმნის ორი ჯოხი, რომელთა დიამეტრია 3-4 სმ, სიმაღლე თოვლის ზედაპირიდან – 180 სმ. ჯოხები ორი ფერისაა – წითელი და ლურჯი. წითელ ჯოხზე წითელი ალამია დამაგრებული, ლურჯზე – ლურჯი. ორ კარს შორის მინიმალური მანძილია 0,72მ, მაქსიმალური – 15 მ. კარის მინიმალური სიგანეა 4 მ, მაქსიმალური – 6 მ. სლალომის ტრასაზე კარების მიმდევრობა, ანუ კომბინაცია სხვადასხვაგვარია. კაცთა შეჯიბრების ტრასაზე უნდა იდგეს 55-75 კარი, ქალების ტრასაზე – 45-65. სასტარტოს და საფინიშოს გარდა, ყველა კარი დანომრილია. სამთო თხილამურებში სლალომის თხილამური ყველაზე მოკლეა – 180-195სმ. სლალომში შეჯიბრება შედგება ორი დაშვებისგან ორ სხვადასხვა ტრასაზე. სპორტსმენმა ტრასის ყველა კარში უნდა გაიაროს. გამარჯვებულად ცხადდება ის, ვინც საერთო ჯამში ორივე ტრასას სხვეებზე სწრაფად გაივლის.

გიგანტური და სუპერგიგანტური სლალომის ტრასები ჩვეულებრივი სლალომის ტრასებზე გრძელია და კარებიც გაცილებით შორიშორსაა განლაგებული. გიგანტურ სლალომში ტრასის სიმაღლეთა სხვაობას შეადგენს 250-400მ (კაცები) და 250-300მ (ქალები); სუპერგიგანტურ სლალომში – 500-600 მ (კაცები) და 350-500 მ (ქალები). ტრასის მინიმალური სიგანეა 30 მ. კარების მოსაწყობად იყენებენ სლალომის ჯოხებს, რომლებზეც გაჭიმულია წითელი ან ლურჯი ქსოვილი. ტრასის ორივე მხარეს ჩამწკრივებულია გეზის მაჩვენებელი ალმები: მარცხნივ – წითელი, მარჯვნივ – მწვანე. გიგანტური სლალომის კარის სიგანეა 4-8მ., ორი სხვადასხვა კარის უახლოეს ჯოხებს შორის მინიმალური მანძილი – 10მ. კარების მინიმალური რაოდენობაა კაცებისთვის – 35, ქალებისთვის – 30. გიგანტური სლალომის ტრასა უნდა შეიცავდეს დიდ, საშუალო და მცირე ზომის მოსახვევებს, სუპერგიგანტური სლალომისა კი – დიდსა და საშუალო ზომისას. გიგანტურ სლალომში შეჯიბრება ორი დაშვებისაგან შედგება, ხოლო სუპერგიგანტურში – ერთისგან. იმარჯვებს ის, ვინც ფინიშამდე ყველაზე სწრაფად მივა.

ოლიმპიური სპორტის სახეობები

სამთო-სათხილამურო ორჭიდში შეჯიბრება ორ დღეს გრძელდება, პირველ დღეს ასპარეზობენ სლალომში, მეორე დღეს სწრაფდაშვებაში. იმარჯვებს სპორტსმენი, რომელიც საერთო ჯამში უკეთეს შედეგს მოიპოვებს.

ფრისტაილი

ისტორია

ფრისტაილი (ინგლ. freestyle, სიტყვასიტყვით თავისუფალი, ლადი სტილი). სამთო-სათხილამურო მრავალჭიდი. შეიცავს სათხილამურო ბალეტს, საჰაერო-სათხილამურო აკრობატიკას და მოგულს.



მსოფლიოს თასი თამაშდება 1978 წლიდან; მსოფლიოს ჩემპიონატი იმართება 1986-იდან; ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია: მოგული 1992-იდან, საჰაერო აკრობატიკა 1994-იდან.

ფრისტაილი წარმოიშვა XX საუკუნის შუა ხანებში, როცა ცენტრალური ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში სამთომოთხილამურეები გაიტაცა შეჯიბრებამ არა მარტო დაშვების სისწრაფეში, არამედ მოძრაობის, მოხვევის, ხტომისა და სხვა ტექნიკური ელემენტების შესრულების სილამაზეშიც. მისი ფუძემდებლები არიან სპორტსმენები, რომლებიც ტრასაზე ფათერაკებს დაეძებნენ და სლალომის ტრადიციულ ტექნიკას უგულვებლყოფდნენ.

მაგალითად, 1990-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი მოგულისტი, ფრანგი ედგარ გროსპირონი, რომელიც ფერდობზე მუხლებმითყუპებული ეშვებოდა, უპერსპექტივობის გამო სამთომოთხილამურეთა გუნდიდან გარიცხეს, ფრისტაილში კი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

ახალ სახეობას მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა შვეიცარიაში, იტალიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, ავსტრიაში, აშშ-ში, კანადაში, ევროპისა და ამერიკის სხვა ქვეყნებში. როცა ადგილობრივი მნიშვნელობის სახელდახელო ტურნირები ეროვნულ ჩემპიონატებსა და საერთაშორისო შეჯიბრებებში გადაიზარდა, შეიქმნა წესების უნიფიცირების აუცილებლობა. ახალი წესებით პირველი დიდი ტურნირი 1966 წელს მოეწყო აშშ-ის ქალაქ ატიტაში. 1979 წელს შეიქმნა ფრისტაილის ტექნიკური კომიტეტი და სპორტის ეს სახეობა FIS-ის ეგიდით მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებათა პროგრამაში ჩართეს. 1988 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე (კალგარი) მოეწყო საჩვენებელი გამოსვლები ფრისტაილის სამივე დისციპლინაში, შემდეგი თამაშების პროგრამაში კი (1992, ალბერვილი) ოფიციალურად შეიტანეს ქალთა და კაცთა მოგული. პირველი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ დონა უეინბრეხტი (აშშ) და ედგარ გროსპირონი (საფრანგეთი). ლილეჰამერის, ნაგანოს და სოლტ-ლეიკ-სიტის თამაშებში მედლების 4-4 კომპლექტი გათამაშდა: მოგულში (ქალები, კაცები) და საჰაერო აკრობატიკაში (ქალები, კაცები).

შეჯიბრის წესები

ფრისტაილი (კაცთა და ქალთა სამი დისციპლინა: სათხილამურო ბალეტი, საჰაერო-სათხილამურო აკრობატული ნახტომები და მოგული). აკრობატული ნახტომებისთვის განკუთვნილი თხილამური უფრო მოკლეა, ვიდრე სამთომოთხილამურეებისა. მოგულის თხილამურების სიგრძეა არანაკლებ 190 სმ (კაცებისთვის) და 180 სმ (ქალებისთვის), სათხილამურო ბალეტისა კი სპორტსმენის სიმაღლის 80% უნდა იყოს. სპორტული ფორმის ქვედა და ზედა ნაწილები სხვადასხვა ფერისაა, რათა მსაჯებს გაუადვილდეთ სპორტსმენის დაკვირვება.

სათხილამურო ბალეტში (ინგლ. acro) შეჯიბრება იმართება გლუვ, თოვლიან ფერდობზე, სადაც არ არის ბორცვები და წინაღობები. ტრასის სიგრძეა 150 მ, სიგანე 35 მ, დახრილობა 24 გრადუსი. სპორტსმენმა დაშვებისას უნდა შეასრულოს პროგრამა, რომელიც შეიცავს ბრუნებს, ხტომებს, ქორეოგრაფიულ და აკრობატულ ელემენტებს. პროგრამა სრულდება თვითონ სპორტსმენის მიერ შერჩეული მუსიკის თანხლებით. გამოსვლას აფასებს შვიდი მსაჯი ორი კრიტერიუმით: ტექნიკა და მხატვრული გამომსახველობა.

ოლიმპიური სპორტის სახეობები

შეჯიბრება საჰაერო-სათხილამურო აკრობატიკაში (ინგლ. აერიალ) ეწყობა ტრასაზე, რომლის საწყისი 55 მ გლუვი ფერდობია (დახრილობა 23გრადუსი). მას მოსდევს სწორი მონაკვეთი, სადაც მოწყობილია “კიკერები”, თოვლისა და ყინულისგან ნაგები მრუდი პანდუსი, რომლის დახრილობის კუთხეა 55-65გრადუსი. მოთხილამურე ფერდობიდან მთელი სისწრაფით ეშვება, ასრიალდება პანდუსზე და ჰაერში ასრულებს აკრობატულ ნახტომს. ტრასის მომდევნო ნაწილი დაშვების ზონაა, რომლის სიგრძეა 30 მ, დახრილობის კუთხე 37გრადუსი. სპორტსმენის გამოსვლას აფასებს 7 მსაჯი. ცალ-ცალკე ფასდება ნახტომი (ჰაერში ასვლა, ნახტომის სიგრძე და სიმაღლე), ჰაერში მოძრაობა (სხეულის პოზიცია, შესრულების სიზუსტე, ჰაერში ყოფნის ხანგრძლივობა) და თოვლზე დაშვება (წონასწორობის დაცვა).

შეჯიბრება მოგულში (ინგლ. mogul -უსწორმასწორობა, ბორცვი სათხილამურო ტრასაზე) იმართება ფერდობზე, სადაც მოწყობილია ხელოვნური წინაღობები ერთმანეთისგან დაახლოებით 3,5 მეტრით დაშორებული ბორცვები. სპორტსმენმა ეს დაბრკოლებები სხვადასხვა მოძრაობისა და ილეთების შესრულებით უნდა გადალახოს. ტრასის სიგრძეა 220-270 მ, სიგანე 25 მ, დახრილობა 28-32 გრადუსი. მოგულში შესრულებული მანევრები ჯგუფდება: თხილამურების პოზიციისა (ერთად ან განზიდული) და ჰორიზონტალურ სიბრტყეში ბრუნვის (360-იდან 720 გრადუსამდე) მიხედვით. მოთხილამურეთა გამოსვლას აფასებს 7 მსაჯი სამი კრიტერიუმით: მოძრაობის ხარისხი (დაშვების ზოლი, ბორცვების გავლა, მოქნილობა, სხეულის პოზიცია), ნახტომები (სირთულე, მანძილი, შესრულების ტექნიკა) და სისწრაფე (კონკრეტული ტრასის სტანდარტულ დროსთან შეფარდებით).

ფიგურული ციგურაობა

ისტორია

ფიგურული ციგურაობა. ზამთრის სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და სანახაობრივად მიმზიდველი სახეობა. გამოირჩევა საინტერესო მხატვრული პროგრამით, ყინულზე სრიალის მრავალფეროვანი ტექნიკური ელემენტებით, ნახტომისა და ტრიალის კომბინაციებით.

ევროპის ჩემპიონატი კაცთა შორის იმართება 1891 წლიდან, ქალთა შორის – 1930-იდან; მსოფლიოს ჩემპიონატი კაცთა შორის -1896-იდან, ქალთა შორის – 1906-იდან; ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია: 1908-იდან (კაცები, ქალები.)



ყინულზე ციგურებით ჰოლანდიაში ჯერ კიდევ XVI საუკუნეში სრიალებდნენ. 300 წლის შემდეგ, XIX საუკუნის 40-იან წლებში, ფიგურული ციგურაობა სპორტის სახეობად ჩამოყალიბდა და გავრცელდა ჯერ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, შემდეგ კი აშშ-სა და კანადაში.

1850 წელს ამერიკელმა ედუარდ ბუშნელმა პირველმა გამოიყენა ფოლადისპირიანი ციგურები, რამაც გააადვილა ყინულზე მოხვევა და ტრიალი. მეორე

ამერიკელმა, ბალეტმასტერმა ჯაქსონ ჰეინსმა, რომელიც XIX საუკუნის 60-იან წლებში ვენაში ცხოვრობდა, ფიგურულ ციგურაობაში ბალეტისა და ცეკვის ელემენტები დაამკვიდრა. 1865 წელს სანქტ-პეტერბურგში მოეწყო პირველი საციგურაო მოედანი. იმავე პერიოდში ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში გაიხსნა ფიგურული ციგურაობის ათეულობით კლუბი.

1872 წელს ვენაში გაიმართა პირველი შეჯიბრება თანამედროვე ფორმულით: მონაწილენი ორკესტრის თანხლებით ჯერ სავალდებულო ფიგურებს ასრულებდნენ, შემდეგ კი ნებისმიერ პროგრამას. 1892 წელს შეიქმნა მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირი (ISU), რომელშიც გაერთიანდნენ მრბოლელებიც და ფიგურისტებიც, ოთხი წლის შემდეგ კი სანქტ-პეტერბურგში მოეწყო მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი (კაცები, ერთეულთა თანრიგი). 1908

ოლიმპიური სპორტის სახეობები

წელს ასევე სანქტ-პეტერბურგში გათამაშდა მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი მედლები წყვილთა სრიალში. ერთეულთა თანრიგში ქალთა პირველ მსოფლიო ჩემპიონატს 1906 წელს შვეიცარიის ქალაქმა დავოსმა უმასპინძლა. 1948 წელს მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირმა ცალკე სახეობად გამოყო წყვილთა ცეკვა, 1951 წლიდან კი იგი მსოფლიოს ჩემპიონატების პროგრამაშიც შეიტანა.

დროთა განმავლობაში დაიხვეწა სრიალის ტექნიკა, საგრძნობლად გაიზარდა სისწრაფე, პროგრამა შეივსო რთული და ორიგინალური ელემენტებით.

სპორტის სხვა სახეობებისაგან განსხვავებით, ფიგურულ ციგურაობაში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები ზამთრის ოლიმპიური თამაშების წელსაც იმართება.

ფიგურული ციგურაობის ოლიმპიური ისტორია იწყება 1908 წლიდან. ზაფხულის IV ოლიმპიური თამაშების (ლონდონი) პროგრამაში 4 დისციპლინა შეიტანეს. პირველი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ: კაცებში ულრიხ სალხოვი (შვედეთი), ქალებში ფლორენს მედელაინ სტაურე (დიდი ბრიტანეთი), წყვილებში ანა ჰიუბლერი და ჰაინრიხ ბიურგერი (გერმანია), სპეციალური ფიგურების შესრულებაში ნიკოლაი პანინ-კოლომენკინი (რუსეთი). 1920 წელს ფიგურისტები კვლავ გამოჩნდნენ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე (ანტვერპენი, VII ოლიმპიადი), ზამთრის პირველი ოლიმპიადიდან (1924, შამონი) კი ფიგურული ციგურაობა ამ თამაშების პროგრამაშია. 1976 წელს (ინსბრუკი) ოლიმპიურ სახეობად აღიარეს წყვილთა ცეკვა. პირველი გამარჯვება მოიპოვა ლიუდმილა პახომოვა-ალექსანდრ გორშოვის (სსრკ) წყვილმა.

კაცებში 3 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი აქვს მოპოვებული გალოს გრაფსტრიომს (ერთეულები, შვედეთი), ქალებში სამეზოს ჩემპიონები არიან სონია ჰენი (ერთეულები, ნორვეგია) და ირინა როდნინა (სპორტული წყვილები, სსრკ).

საქართველოს ფიგურული ციგურაობის ასოციაცია შეიქმნა 1992 წლის აპრილში. ხელმძღვანელობს ამ სახეობის განვითარებას საქართველოში. უმაღლესი ორგანოა ყრილობა, რომელიც იმართება ოთხ წელიწადში ერთხელ. ასოციაციას ჰყავს პრეზიდენტი, ორი ვიცე-პრეზიდენტი და გენერალური მდივანი. მოქმედებს მწვრთნელთა და მსაჯთა საბჭოები, საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტი.

1992 წლის ოქტომბრიდან ციგურაობის საერთაშორისო ფედერაციის (ISU) წევრია.

ფიგურული ციგურაობა საქართველოში

საქართველოში ფიგურულ ციგურაობას საფუძველი ჩაეყარა 1960 წლის ივლისში, როცა მოსკოვიდან ჩამოსული ცნობილი მწვრთნელი ედუარდ პლინერი სათავეში ჩაუდგა ჩვენში სპორტის ამ სახეობის განვითარებას. ქართველი ფიგურისტები სარბიელზე პირველად გამოვიდნენ 1960 წლის 4 ნოემბერს (ვერის ბადის კალათბურთის მოედნის ხელოვნურ ყინულზე, რომელიც საგანგებოდ მოამზადეს მოსკოვის საბალეტო დასის გასტროლებისათვის), იმავე წლის დეკემბრიდან კი ვარჯიში ბაკურიანში გააგრძელეს. საქართველოს პირველი ჩემპიონატი გაიმართა 1961 წელს. ერთეულთა თანრიგში გაიმარჯვეს ირინა არხანგელსკაიამ და ირაკლი ჯაფარიძემ, რომელმაც შემდეგ (1963) სსრ კავშირის ჭაბუკთა პირველობაც მოიგო.

1964 წელს თბილისში აშენდა საქართველოში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ხელოვნურსაფარიანი საციგურაო დარბაზი. იქვე გაიხსნა სპორტული სკოლა (პირველი დირექტორი ნოდარ ნათაძე), სადაც არაერთი ნიჭიერი მოციგურავე დაოსტატდა. ახალი თაობის ფიგურისტთა შორის გამოირჩეოდნენ მარინე ცერცვაძე და ლია გაბელია. ცერცვაძემ საბჭოთა სპორტსმენთაგან პირველმა შესრულა სამმაგი ბრუნის სალხოვი (1973, როსტოვი, სსრკ ჩემპიონატი), ზედიზედ ორჯერ (1975, 76) მოიპოვა სსრკ თასი. გაბელია საუკეთესო იყო იუგოსლავიის ქალთა საერთაშორისო ტურნირში (1976). 70-80-იან წლებში საბჭოურ და ევროპულ შეჯიბრებებში წარმატებით გამოდიოდნენ მიხეილ სიხარულიძე, გია შანყულაშვილი, ონისე რუხაძე, ნელი დვალიშვილი, ანდრეი ტოროსიანი.

პირველი ფიგურისტი, რომელმაც დამოუკიდებელი საქართველოს სახელით მონაწილეობა მიიღო ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში (1994), იყო ბესარიონ ცინცაძე. შემდეგ სარბიელზე გამოჩნდა ვახტანგ მურვანიძე,

ოლიმპიური სპორტის სახეობები

რომელმაც ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ტურნირში (1997) ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო სოლტ-ლეიკ-სიტის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში (2002) მე-17 იყო. 1999 წლიდან საერთაშორისო შეჯიბრებებში ჩაება საქართველოს პირველი მოცეკვავეთა წყვილი (თორნიკე ტუცვაძე, ტატიანა სინიავერი).

შეჯიბრის წესები

ფიგურულ ციგურაობაში შედის ოთხი დისციპლინა: კაცთა, ქალთა, წყვილთა სრიალი და სპორტული ცეკვები. შეჯიბრება ტარდება ყინულით დაფარულ მოედანზე, რომლის მაქსიმალური სიგრძეა 60 მ, სიგანე 30 მ, მინიმალური კი, შესაბამისად, 56 და 26 მ. ვარჯიში სრულდება სპორტსმენის მიერ შერჩეული მუსიკის თანხლებით (სპორტული წყვილები ირჩევენ მხოლოდ თავისუფალი პროგრამის მუსიკას); შეჯიბრებისთვის ასევე თავად სპორტსმენები ირჩევენ კოსტიუმებს. ფოლადისგან დამზადებულ ციგურებს განსაკუთრებული ფორმა აქვს. ჩქაროსნული ციგურაობისა და ჰოკეის ციგურებისგან ისინი განსხვავდება წინა ნაწილის კბილანებით. განსხვავებული ფორმისაა სპორტული ცეკვის ციგურებიც: მათი უკიდურესი ქვედა კბილანა შედარებით მცირე ზომისაა.

ფიგურულ ციგურაობაში წყვილს ქალი და კაცი ქმნიან. ცალკე ქალთა ან კაცთა წყვილები არ ასპარეზობენ. გამოსვლისას ფიგურისტები ასრულებენ ნახტომებს (აქსელი, სალხოვი, ტულუპი, რიტბერგერი, ფლიპი, ლუცი), სხვადასხვაგვარ ტრიალს (დგომტრიალი, ჯდომტრიალი და მერცხალტრიალი) და ნაბიჯებს. ერთეული მოციგურავეები და წყვილები ასრულებენ ორ-ორ პროგრამას: მოკლეს, რომელსაც ორიგინალურ ან სავალდებულო პროგრამასაც უწოდებენ, და თავისუფალს. მოკლე პროგრამა როგორც ერთეულების, ისე წყვილების გამოსვლისთვის განკუთვნილია 2,50 წუთი (შეიძლება ნაკლებიც). მოკლე (სავალდებულო) პროგრამა შედგება რვა აუცილებელი ელემენტისაგან, რომლებიც ერთმანეთთან ნაბიჯებითაა დაკავშირებული. (დამაკავშირებელ ნაბიჯებს მსაჯები ითვალისწინებენ მოციგურავის შეფასების დროს. არასავალდებულო, ისევე როგორც განმეორებით შესრულებულ ელემენტებს შეფასებისას მხედველობაში არ იღებენ). თავისუფალი პროგრამის ხანგრძლივობა კაცების და წყვილებისთვის შეადგენს 4,30 წუთს (+/- 10 წამი), ხოლო ქალებისთვის 4 წუთს (+/- 10 წამი). თავისუფალ პროგრამას სავალდებულო ელემენტები განსაზღვრული არა აქვს, თუმცა დადგენილია მათი რაოდენობა: კაცებისთვის არაუმეტეს 8 ნახტომისა, 4 ტრიალით, 2 ნაბიჯების მონაცვლეობით; ქალებისთვის არუმეტეს 7 ნახტომისა, 4 ტრიალით, 2 ნაბიჯების მონაცვლეობით. წყვილთა შეჯიბრებისას არ არის აუცილებელი ერთი და იმავე მოძრაობების შესრულება ანდა მოციგურავეთა შორის მუდმივი კონტაქტის შენარჩუნება, თუმცა მათი გამოსვლა ერთ ჰარმონიულ მთლიანობას უნდა ქმნიდეს.

შეჯიბრება სპორტულ ცეკვებში გულისხმობს ორი სავალდებულო, ერთი ორიგინალური და ერთი თავისუფალი ცეკვის შესრულებას. სპორტული ცეკვების ტექნიკური კომიტეტი ყოველწლიურად ადგენს ოთხი სავალდებულო ცეკვის სახეობას, რომელთაგანაც შეჯიბრებისას შესასრულებელი ორი ცეკვა წილისყრით შეირჩევა. კომიტეტი განსაზღვრავს ასევე ორიგინალურ ცეკვას, მის რიტმს, ტემპსა და ხანგრძლივობას. შესაბამისი ინფორმაცია ყოველწლიურად ქვეყნდება. ფიგურული სრილის საერთაშორისო ფედერაცია სავალდებულო ცეკვებად მიიჩნევს ფორტინსტეპს, ფოქსტროტს, როკერ ფოქსტროტს, ევროპულ ვალსს, ამერიკულ ვალსს, ვესტმინსტერულ ვალსს, ვენეციურ ვალსს, ავსტრალიურ ვალსს, სტარლაით ვალსს, რევესბურგულ ვალსს, გოლდენ ვალსს, იანკი პოლკას, ქვიქსტეპს, პასადობლს, რუმბას, რუმბა დეამორს, ჩა-ჩა კონგელადოს, სილვერ სამბას, ტანგოს, არგენტინულ ტანგოს, ტანგო რომანტიკას, ბლიუზს, მიდნაით ბლუზს. სავალდებულო ცეკვის ხანგრძლივობა განსაზღვრული არ არის. ცეკვა უნდა შესრულდეს მუსიკის ტაქტით და ზუსტი მონახაზის შესაბამისად. თავისუფალი პროგრამა უნდა შედგებოდეს საცეკვაო ნაბიჯებისა და მოძრაობების კომბინაციებისაგან, რითაც ვლინდება სპორტსმენტა მიერ არჩეული მელოდიის ხასიათი და იდეა. აუცილებელი ელემენტები ჩამოთვლილია ISU-ის წესდებაში. სპორტული ცეკვების ტექნიკური კომიტეტის მიერ წესებში შეტანილი ცვლილებები ყოველწლიურად ქვეყნდება. მოციგურავის მიერ შესრულებული პროგრამის შეფასებისას მხედველობაში მიიღება, ერთი მხრივ, ცალკეული ელემენტების შესრულების ხარისხი (ქულათა შემდეგი სკალის მიხედვით: -3, -2, -1, 0, +1, +2, +3), მეორე მხრივ, სრილის ოსტატობა, დამაკავშირებელი ნაბიჯები და მოძრაობები, პროგრამის შესრულება, ქორეოგრაფია, ინტერპრეტაცია (0,25-იდან 10 ქულამდე სკალით).